




საბავშვო

მარტი
№ 3 1989





ნინო სალუქვაძე



სეულის ჯაფხულის XXIV ოლიმპიადის ჩემპიონმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თბილისელმა სტუდენტმა ნინო სალუქვაძემ ქ. ლვოვში მიმდინარე საქაფ-შირო პირველობაზე ტყვის სროლაში პირველობა აიღო და ოქროს მედალი და-ისაკურა.

მეგობრებთან

პარტიას, საბჭოთა ხალხს!

სკკ ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მუშათა კლასს, გლეხობას, ყველა მშრომელს, პარტიის ყველა გეგმა ხალხის ინტერესებს ემსახურება. ამ გეგმების შესრულებაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ აგვეწყობა ცხოვრება ხვალ, რას მოგვითმის ხვალინდელი დღე და ყოველივე ეს თვით ხალხის ხელშია. თქვენი შრომა, ოსტატობა, სოციალური აქტიურობა და საზოგადოებრივი პოზიცია წარმატების უმნიშვნელოვანესი საწინდარია. დაახსენეთ კანდიდატებად, მხარი დაუჭირეთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების არჩევნებში ცვლილებათა აქტიურ მომხრეებს, სახელმწიფოებრივად, გაბედულად, პასუხისმგებლობით და მასშტაბურად მოაზროვნე და მოქმედ ადამიანებს!

სკკ ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საბჭოთა ინტელიგენციას მოწოდებით იღვეს თავისი მისიის სიმალლეზე სამუშაოლოსათვის გადაწყვეტდნენ დროს. განხვადეთ, რა დროს გამოქაზილს პოულობს თქვენი სიტყვა, თქვენი აზრი ხალხში, მოწამებრივად იღვაწეთ პროგრესისათვის, გააერთიანეთ ადამიანები, განავითარეთ და დაიცავით სოციალიზმის ღირებულებები, ჰუმანიზმი და ჟრთიერთობის კულტურა, პირადად უჩვენეთ კეთილშობილებისა და კონსოლიდაციის მაგალითი.

სკკ ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — პროფესიულ კავშირებს, ლენინურ კომკავშირს, კოლპერაციულ ორგანიზაციებს, ქალთა საბჭოებს, ომისა და შრომის ვეტერანთა, მეცნიერ მუშაკთა გაერთიანებებს, სსრ კავშირის შემოქმედებით კავშირებს, სხვა ფორმირებებს, მოუწოდებს მათ განავითარონ საზოგადოებრივი თვითმოქმედება და მოქალაქეობრივი მოძრაობა გარდაქმნის იდეების მხარდასაჭერად, ხალხის ინტერესებისა და სოციალიზმის მიზნების სახელით.

სკკ ცენტრალური კომიტეტი მიმართავს კომუნისტებსა და უპარტიოებს, ქალებსა და მამაკაცებს, ვეტერანებსა და ახალგაზრდობას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს — ყველა მოქალაქეს მოწოდებით გაერთიანდნენ პარტიის პლატფორმაზე.

დაე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მომავალი არჩევნები გახდეს დემოკრატიის სკოლა, ხალხის სრულყოფილიანობის გამარჯვება!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.



ნინო სალუქვაძე მშობლებთან

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნომერი:

შპირველესი საქმე დედათა. (საუბარი).

ლალი მარტაშვილი. ოცკვადრატულ-მეტრინან ოთახში.

დომენტი კილაძე. ოჯახური იდილია.

როდამ ჟუმსიშვილი. ბარონტი ჭიჭოძის წერილები.

ერიკ კული. შუტისქიება.

ჭაბუა ამირეჯიბი. სად ეცემინან ვარსკვლავები (ნაწყვეტი რომანიდან).

პრემ ჩანდი. მორჩილება.

ეკა ახალკაცი. ინკლანტაცია.

კლიმენტ ელიზბარაშვილი. გარდაქმნის კონცეფცია.

თინათინ ხმალაძე. ღიმილი.

ნუგზარ გარდაველიძე. კორიდა.

თაგარ გომართელი. მამულიშვილი.

არნოლდ გეგეჭკორი. მშობლობა ცხოველებში.

პროსკოროვი.

საქართველოს კვ ტა-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგოიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღურთიყა, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მხარაშვილი, ღინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

საუბრობან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მოთხე კურსის სტუდენტი კლარა მენაბდე და თბილისის სახელმწიფო საგანმანათლებლო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი მანია კილახონია.

კლარა მენაბდე. დიდი ილია ბრძანებდა, ქართველი დედასაც კაცად ხდის და ამიტომ დედაცაც ეძახისო. სიტყვა დედაცაცში იგი ღრმა აზრს დებდა. ქალი კი არა, დედაცაცყო. სად ქალობა და სად დედაცაცობაო. ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისთვის ეს წუთისოფელი სასიერო წალკოტია, დედაცაცისთვის სახლია პატროსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკელი, ძნაა საღეწი, სარბიელია საომარი ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარხმალ დედაცაცია, დედაცაცი ფარხმალნი და სად მოვლენ ერთმანეთთანო.

მანია კილახონია. ამ სიტყვამ დღეს დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ახლა რომელ ქალს ეტყვი, დედაცაცი ხარო...

კლარა მენაბდე. მთავარია შინაარსი. თანამედროვეობამაც იცის ილიასეული დედაცაცი. თუმცა, პროპორციები იქნებ შეიცვალა.

ყველა დროს ჰყავდა ისეთი დედებიც, რომელნიც ამ ქვეყანას ისე უყურებდნენ, როგორც „სასიერო წალკოტს“.

მანია კილახონია. ყოველვის მაინც სკარბობდა დედაცაცი. ვინც ბურჯად ედგა ოჯახს, ვინც სახნავ-სათესშიც იყო, მკაშიც, ბარვამიც. ოჯახსაც უძღვებოდა, სულსა და გულს რომ აქსოვდა ქართველთა აღზრდა-გამრავლებას. მერე კი... თუ საჭიროება მოითხოვდა, თუ სამშობლოს სჭირდებოდა, დიდი ტანჯვის ფასად შეეძლო შეწირვაც.

და შეილებთან ერთად თავდაც შეწირული ხდებოდა.

კლარა მენაბდე. ქართველი ქალის ისტორიული რაობა ერმა თავის ლექსიკაში ჩააქსოვა.

დედაენა, დედაბოძი, დედააზრი... დედა სადაც გაერევა, იქ ყველაფერი ამალღებულა, თავიდათავია, ყოველივეს არსია. უნაზესი, უსათუთესი სურნელიც დაჰქრავს.

მანია კილახონია. ყველა ქალს უნდა ახსოვდეს, რომ დედის გამძლეობამ, მისი სიყვარულის ძალამ შეგვიწარმოებდა სამშობლოც, ენაცა და სარწმუნოებაც, რაკი მისი უპირველესი ვალი შვილის აღზრდა და ოჯახი იყო.

კლარა მენაბდე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქალი საზოგადო სარბიელზე გავიდა. დიდი ტვირთი დააწვა მხრებზე. იქნებ უსაფუძვლო არც არის შიში: დედის მოვალეობა და ოჯახის წილი თანდათან ხომ არ მკირდება, ხომ არ ვიწროვდება. „თავისი მოვალეობა და საღმრთო ვალი“ ხომ არ მიივიწყა, ქართველმა ქალმა...

მანია კილახონია. იგი მამაკაცის გვერდით დგას დაზავს, უზის საჭეს. ქალი — ექიმი, ქალი — მშენებელი, ქალი — პარტიული თუ სახელმწიფო მოღვაწე. ქალი დიასახლისი.

კლარა მენაბდე. დიასახლი ყველა ქალია, ან უფრო სწორად, ყველა ქალი უნდა იყოს. ისიც, ვინც მუშაობს და ისიც,



უპირველესი საქმე დედათა

ვინც მხოლოდ საოჯახო საქმით არის დატვირთული.

სირთულეც ამაშია: ქალი რვა-ცხრა საათის განმავლობაში გასულია სახლიდან, მამაკაცით შრომობს, შემოდგამს შინ ფეხს და მაშინვე დიასახლისად იქცევა... ესე იგი, ქალს ორმაგი ჯაფა აქვს. მერე იოლად იტყვიან, ქალი სუსტი არსებააო...

მანია კილახონია. რამდენ საღმრთო წყალო სუფრასთან გვინახავს დაქანცული დიასახლისი, უხერხულად რომ მალავს თავის ხელებს და ცდილობს, სახეს ღიმილით მოაცილოს დაღლილობის კვალი.

თუკი რამ შექმნილა ამქვეყნად ძლიერი და ღონიერი, ფასეული ერისა და ხალხისთვის, ამგვარ ნაჯაფ ხელებს შეუქმნია იგი.

კლარა მენაბდე. როცა მრავალშვილიანობაზე არის საუბარი, სულ მუდამ მეზადება კითხვა: გასწვდება კი თანამედროვე დედის სულიერი პოტენციალი ვთქვათ 6-7 შვილს, ისე რომ ძალაუნებურად შუა გზაზე არ მიატოვოს მათი სულის ჩამოქნა და დახვეწა. ყოველდღიურმა, აუცილებელმა საჭიროებებმა არ შეაფერხოს, არ დალალოს. შეძლებს კი, ყველას უმეგობროს და იმდენი დრო დაუთმოს, რამდენიც მათ სჭირდებათ.

არადა, რა ოცნებისეულ ფერებში გვესახება გარდასულ საუკუნეთა ქართველი დედა, თუნდაც ცხრა ძმა ხერხეულიძეთა მშობელი. იგი ხომ თავისუფალი იყო ყოველივე იმისაგან, რაც სულს ამძიმებს, მარტო მისი „იავანა“ რად ღირდა. ეს არ იყო მხოლოდ ძილისმომგვრელი ტკბილი ხმა, ეს „იავანა“ ზნეობრივი დოქტრინაც იყო.

შვილს რომ რაიმე უჭირდა, დედისაგან მოშორებით მყოფს, ძუძუები მტკივავო, დაიგმინებდა დედა. მე მგონი, ეს სისხლისმიერზე უფრო გამძაფრებულ სულიერ კავშირს ნიშნავს.

აი, ამ სულიერი კავშირის დეფიციტის საშიშროების წინაშე ხომ არ ვდგავართ.

რაოდენი სიფრთხილე მართებს დედას, როცა ბავშვი სამყაროს პირველალმომჩინის ასაკშია. ყველაფერი პირველი ხომ დედას-

თან არის დაკავშირებული — პირველი სიტყვა, პირველი ლექსი, პირველი სიმღერა, პირველი ყვავილი...

მანია კილახონია. ჩვენ კი დედობამდევე გვქანცავს თანამედროვე პრობლემები. ჭერ მარტო უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების შიში და სასოწარკვეთავთქვათ. ჩემს ცხოვრებაში იგი შეიდგურ განმეორდა. მეც არაერთხელ მიფიქრია, შევძლებ კი სრულყოფილ დედობას?

კლარა მენაბდე. საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა მთელი პროგრესული კაცობრიობა ქალთა გათავისუფლებისათვის, მისი მამაკაცთან გათანასწორობისათვის. ქალის საზოგადო საქმით დაკავების წინააღმდეგი აბა ვინ იქნება. იდეალისკენ მონდომებითა და მოთმინებით სწრაფვაც მხოლოდ ამალღებს ადამიანს. მით უმეტეს ქალს, ოღონდ... საწყენი ის არის, რომ ძალიან ცოტას გვიჩნდება ასეთი იდეალი: გვყავდეს ბევრი შვილი და ოჯახს შევწიროთ ყველაფერი.

ვკარგავთ დროს, ვწირავთ ნერვებს და ჩვენს შესაძლებლობებს. ისიც ხომ ცხადზე ცხადია, რომ დედის თვალს, დედის გულს, დედის კალთას ვერაფერი შეცვლის. ისე მაინც უნდა იყოს მოწყობილი ცხოვრება, რომ ქალი, რომელსაც შინ, შვილებთან ყოფნა უნდა, მატერიალური აუცილებლობის გამო არ მიდიოდეს სამსახურში.

ალბათ, ყოველ ქალში ქვეცნობიერად ანთია დედობის ნატურა. ეს ისე ბუნებრივია, როგორც ღიმილი, სუნთქვა და ისე ძლიერი, როგორც სიცოცხლის წყურვილი. ოღონდ, რატომღაც ვცდილობთ, უკანა პლანზე დავაყენოთ ეს ბუნებრივი და ძლიერი გრძნობა. თავს ვიტყუებთ ათასი რამით. ის კი არა, ზოგს ეს გიზგიზა გრძნობა სამსხვერპლოზეც კი მიაქვს. ეს უფრო ხშირად ხელოვნების მკაცრი სამსხვერპლოა, ოღონდ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ეს მარტო თვითმეწიერა არ არის, ეს სხვისი გაწიერაცაა — უძვირფასესი, უსათუთესი, უტკბილესი.

მანია კილახონია. დღეს ქალს წინ ელობება ნივთიერი და ფსიქოლოგიური წინა-

აღმდეგობები, ამიტომ ვერ წყვეტს იგი
ხშირად, ბევრი შვილი იყოლიოს, ან ვერ
ახერხებს სრულყოფილ დედობას...

კლარა მენაბდე. ხალხისა და მამულის
მომავალი კი იმაზეა დამოკიდებული, რა-
მდენად სრულყოფილი დედა იქნება ქა-
ლი...

მაია კილასონია. და იმაზეც, რამდენი
შვილი ეყოლება.

კლარა მენაბდე. ჩვენთან ჯერჯერობით
ისე დგას საქმე, რომ ხელფასის მოიმიდევ
ადამიანს ძლიერ უჭირს. ჩნდება სურვილი
მეტის მოხვეჭისა და თუ ამ სურვილს „გა-
მკრიახი“ გონებაც ემატება, იწყება მარა-
თონი დაგროვების მიზნით, რათა „შთამო-
მავლობა უზრუნველყოფილი ჰყავდეს“
(ეს მათი სიტყვებია).

ასეთ ოჯახში ბავშვი იღუპება ამ სიტ-
ყვის სრული მნიშვნელობით, რადგან მის
ირგვლივ სულიერებაზე ხორციელება ბა-
ტონობს.

ზოგსაც ელემენტარული მოთხოვნი-
ლების დაკმაყოფილება უჭირს. ამას გა-
ნიცდის და ეს შვილებზეც გადადის. ისე
უკეთესად ცხოვრების სურვილი სავსებით
ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ნაკლად
არც უნდა ჩაეთვალოს ადამიანს...

მაია კილასონია. არც ის თქვას ვინმემ
ბავშვის აღზრდას ცოტა სჭირდებაო. ინ-
გლისურს თუ ერთი ბავშვი სწავლობს კე-
რძო მასწავლებელთან, მეორის დედასაც
სურს, შვილი არ ჩამორჩეს. სკოლის ცოდ-
ნა საკმარისი რომ არ არის უმაღლეს სას-
წავლებელში შესასვლელად, მშობელმა
ტყავი უნდა გაიძროს, რომ რამდენიმე სა-
განში რეპეტიტორი ჰყავდეს მის შვილს.
მითუმეტეს, ახლა კოლპერატივებიც კი გა-
იხსნა სრულიად ოფიციალურად... ეს ქა-
ლისთვის, დედისთვის, ნივთიერი წინააღ-
მდეგობაც არის და, თუ გნებავთ, ფსიქო-
ლოგიურიც.

კლარა მენაბდე. მერე როგორ უჭირთ
ახალგაზრდა, სტუდენტ დედებს. რამდენ
ცივ გულსა და გაუგებრობას აწყდებიან.
ჩვენც, მეგობრებს, ხშირად გვავიწყდება,
რა სიძნელის წინაშე დგანან ისინი. ვსაუ-
ბრობთ მაღალ მატერიალურ და ჩვენს გვე-
რლით რამდენ საქმეს ვერ ვამჩნევთ. ძალი-
ან გამიხარდა, როცა სამედიცინო ინსტი-
ტუტში სტუდენტებმა ჯუმბერ პატიაშვი-
ლთან შეხვედრაზე არ დაივიწყეს თავიან-
თი მეგობრები, ისინი, ვინც უკვე გამოს-
ცადა დედობის მაღლი და ვინც განსაკუთ-
რებულ ყურადღებასა და სათუთ დამოკი-
დებულებას მოითხოვს ირგვლივმყოფთა-
გან.

ჩემი აზრით, მარტო მრავალშვილიან
დედებს კი არა, ქალს სამი შვილი რომ
ჰყავს, უკვე განსაკუთრებული პრივილეგი-
ებით უნდა სარგებლობდეს და არა მარ-
ტო ჩვილობის ასაკში, რადგან ყველამ ვი-
ციტ, რომ ბავშვები რაც იზრდებიან, მით
მეტე დრო და ყურადღება სჭირდებათ.

არც დამამცირებელი უნდა იყოს ჩვილი
ბავშვის კუთვნილი თანხის აღება დედი-
სათვის, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდე-
ბა. მითუმეტეს, რომ დადგენილი ოცდათხუ-
თმეტი მანეთი ძალიან მცირედ შეჩვენება.

...და მაინც ბავშვებს არ უნდა შეეხოს
მატერიალური ხელმოკლეობით გამოწვე-
ული განცდები. ეს უნდა შეძლოს მშობე-
ლმა.

მაია კილასონია. ბევრი ჩვენგანი უკვე
დაქანცული, ცხოვრებისაგან დაღდაპული
იკვამს საქორწილო კაბას. და ჩვენი ვალი
მამულისა და ხალხის წინაშე მაინც პირ-



ნათლად რომ მოვიხადოთ, ამისთვის ბევრი
პირობაა საჭირო...

კლარა მენაბდე. მე, როგორც ჩემი მს-
წავლებელი თამაზ კვაპანტირაძე ფიქ-
რობს, მგონია, რომ უპირველესი მაინც
მამაკაცის ავტორიტეტი.

მაია კილასონია. ოღონდ ზოგს სწორად
არ ესმის, რა გზით უნდა მოხდეს ეს...
ოჯახში, სადაც პირველობისთვის, ავტო-
რიტეტისთვის ბრძოლაა, ჯანსაღი თაობა
ვერ აღიზრდება. სულ სხვაა, როცა გჯერა
მეუღლის, როცა იცი, რომ მისი საქმე და
სიტყვა ერთია. როცა გრძნობ მის შინაგან
აღამიანურ ძალას და სურვილი გიჩნდება,
დაემორჩილო მას, გაამრავლო, გაახარო...

ასეთ ოჯახებში ეკონომიკურ დაბრკოლ-
ებასაც ადვილად სძლევენ და ფსიქოლო-
გიურსაც.

კლარა მენაბდე. ჩემი თაობის ვაჟები
(და საერთოდ, ერთობ რომანტიკულად
განწყობილი მამაკაცები) ხშირად ცოლად
არ თხოულობენ მათ, ვისაც აღმერთებენ,
იმის შიშით, რომ არამიწიერი მიწიერი არ
გახდეს.

იქნებ, აქ ცდებიან ისინი, რომ კარგავენ
ძლივს ნაპოვნ ნაწილს საკუთარს.

მერე ოჯახის შექმნის იძულებითი
ვალდებულების გამო ცხოვრების თანამგ-
ზავრად იხდიან ადამიანს, რომელიც თით-
ქოს უყვართ, უფრო სწორად, არ უყვართ,
მაგრამ „პატივს სცემენ“. ეს ნახევარი სი-
ყვარულია. მოზომილი სიყვარულით კი
არც ოჯახი იქმნება და ვერც შვილები ის-
წავლიან სიყვარულს.

ქრისტიანული რელიგიის შვიდ უზენაეს
საიდუმლოთაგან ხომ ერთ-ერთი ქორწი-
ნებაა. ეს არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ
ნივთებით გამოტენილი სახლების დარა-
ჯებად არ ვიქცეთ მხოლოდ.

„რომეო და ჯულიეტა“ გავიხსენოთ: ეს
საოცარი ბავშვები ურთიერთს ასე მიმარ-
თავენ: „ჩემო მეუღლე!“ და ეს ყოფითი
სიტყვა მათ ბავთაგან ქლერს, როგორც
სიცოცხლის საგალობელი.

მაია კილასონია. ვინც უყვართ, ხშირად
მის ცოლად შერთვას რომ ვერ წყვეტენ,
ამის მიზეზი მრავალია ჩვენს ცხოვრებაში,
ზედმიწევნით რომანტიკულიც და ძალიან
ცხოვრებისეული და პრაქტიკულიც. შე-
დევი კი ყოველთვის ერთია — ამაზე პა-
სუხს შთამომავლობა აგებს.

ახლა მახსენდება მშობლების ცოდვე-
ბით დამძიმებული ბავშვების ბედი. ზო-
გი ქალი ხომ თავისი ნებით ართმევს თავის
პირმშოს ყველაზე ძვირფასს — დე-
დის ალერსსა და სიყვარულს. მე მინახავს
ბავშვური, აღელვებული ხელით ნაწერი
თხზულება: „ჩემი ყოფილი დედა“.


— დედა... სულ ოთხი ასოსაგან შედ-
გება და რა ბევრს ნიშნავს. დედის სახე
ჩვენს თვალში მზეზე უფრო ბრწყინვალეა
და თბილი. მის ხელებს მუდამ მოაქვს სი-
ზარული და მათ არ იციან დაღლა. დედა
ყველაზე საყვარელია ამქვეყნად...

„ჩემი ყოფილი დედა“ წერდა ბავშვი,
რომელსაც ესოდენ ამაღლებული განცდა
ჰქონდა დედის მიმართ და რომლის დე-
დაც ცოცხალი იყო...

ცხოვრება რთულია. ვინ იცის, რას უმ-
ზადებს იგი თითოეულ ჩვენგანს. ალბათ,
ბევრის პატივაც შეიძლება. მხოლოდ
შენდობა არა აქვს მათ, ვინც ცოცხალია,
მისი შვილი კი ობლად გრძნობს თავს.

როცა ყველა ქართველი ქალი იგრძნობს,
რა არის მისი უპირველესი ვალი...

კლარა მენაბდე. მაშინ, ალბათ, ბევრი
პრობლემა მოეხსენება ჩვენს ერს.



ბა და მებაღეობის ამხანაგობათა გაფართოება რა გავლენას ახდენს სამინისტროს მთლიან საქმიანობაზე?

პასუხი: ეს გარკვეულწილად ხელს უწყობს საწარმოთა მიერ გამომუშავებული სხვადასხვა პროდუქციის ნომენკლატურის გამრავალფეროვნებას. ამის დასტურია პლასტმასის და რეზინის სარწყავი მილები, პლასტმასისა და მოთუთიებულები ვედროები და ტაშტები, ნაჭები და დატვიფრული სხვადასხვა ზომის თოხები, ბარი, ძალაყინი, წერაქვი, ციტრუსის საკრეჭი მაკრატელი, სასლავეი, გოგირდის შემაფრქვეველი „ფუქსი“, ნაყოფმწყვეტი, ხილის შესაწამლის ზეთოვანი ემულსია, სეტყვის საწინააღმდეგო ბადე და სხვა მრავალი.

კითხვა: ამ მხრივ სხვა რაიმე სიახლე ხომ არ ელით მიწის მუშაკებს?

პასუხი: კი. ამჟამად თბილისის სასოფლო სამეურნეო იარაღების ქარხანა ითვისებს გე-

სმარებელი. საეპრო ორგანიზაციებში ასევე მალე გაიშენდება მებაღის კომპლექტი.

კითხვა: შოდით, დავუბრუნდეთ მიწათმოქმედების ჩასახვის გარიჟრაჟზე გამოგონებულ იმ მამაპაპურ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, რომლებიც საერთოდ, განსაკუთრებით კი საქართველოს მთა-გორიან პირობებში არამცთუ არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, არამედ, პირიქით, არენდული და კოოპერაციული მოძრაობის გაფართოების კვალობაზე დღითი დღე იზრდება და როგორცა ჩანს, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. შოდ, აი, სოფელსა და ქალაქშიც რამდენჯერ შემხვედრია მალაზიიდან მალაზიაში უშედეგო სირბილისაგან დაღლილი, იმედგაცრუებული და გაღიზიანებული კაცი, რომელმაც ვერ შესძლო, თავის გემოზე ეყიდა ბარი, თოხი, ნიჩაბი, წერაქვი, ძალაყინი, ცელი, ცული, ფოცხი, ფიწალი... დღეს, კოსმოსისა და მეცნიერულ-ტექნიკური სასწაულების ეპოქაში, ნუთუ მართლა ასე

გარდაქმნის შეუქცევად პროცესს, რომელიც ძირფესვიანად ცვლის უკეთესობისაკენ ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეს, თანაც ახალი პრობლემებიც და საზრუნავიც მოაქვს. ეს კი ყველა სფეროსა და დარგში ახლებურ, შემოქმედებით მიდგომასა და აზროვნებას მოითხოვს. ნინაღმდეგ შემთხვევაში რაიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ნარმატებებსა და სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაზე ოცნებაც კი ზედმეტი იქნება.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო სამმართველოს უფროსი, კოლეგის ნეერი გივი გოგიშვილი სწორედ სადღეისო პრობლემებზე ესაუბრება ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტს ჯემალ მესხრიშვილს.

კითხვა: ბატონო გივი, ყველას სმენია თქვენი სამინისტროს შესახებ, მაგრამ ბევრს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მის ახპარეზე. ამიტომ, თუ შეიძლება, მოკლედ გაგვაცანით სამინისტროს სტრუქტურა და საქმიანობა.

პასუხი: საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ყველაზე მრავალდარგოვანი სამრეწველო სამინისტროა რესპუბლიკაში. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები მოიცავს შვიდ უმთავრეს დარგს. ესენია: ლითონდამუშავების, ქიმიის, ხე-ტყის დამუშავების, საშენი მასალების, კვების, მსუბუქი მრეწველობის და შავი მეტალურგიის დარგები. გამოშვებული პროდუქციის ნაირსახეობა აღწევს 2 500 და-

სახელებს. ძირითადი მიმართულება საწარმოთა განვითარებისა არის სახალხო მოხმარების საგნების ინტენსიური ზრდა. ეს აშკარად ჩანს ციფრებიდანაც: ამჟამად ასეთი სახის პროდუქცია წელიწადში იწარმოება დაახლოებით 393 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც მთლიანად გამომუშავებული პროდუქციის 79 პროცენტს შეადგენს.

პროდუქციის ნომენკლატურა მრავალფეროვანია და შედგება როგორც ეგრეთ წოდებული ათასი წვრილმანისაგან — დაწყებული სხვადასხვა სამკერველო და ტრიკოტაჟის, ქსოვითი გალანტერიის, ტყავის გალანტერიის, აგურის, ბლოკის, ქვიშის, მოსაპირკეთებელი ქვების, მიწნერალური წყლების, უალკოჰოლო სასმელების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, რკინაკვეულის, მომინანქრული რეზერვუარების, ისე ბავშვის სათამაშოებისა და სხვა მრავალი ასორტიმენტისაგან.

ჩვენი სამინისტროს საწარმოები ფუნქციონირებს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. სტრუქტურულად სამინისტრო შედგება 37 ერთეულისაგან. მათ შორის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პროგრესი“, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო, 18 სამრეწველო-საწარმო და 16 საარაიონოთაშორისო საწარმოო გაერთიანება.

კითხვა: საიჭარო მოძრაობის ფართო მასშტაბით განვითარე-

პრობლემა: ტექნიკური ბაღიაჩალება

იჭიჩკე, გაერთვანა და ბაღაჩუკი!

ნახის შესაწამლ აპარატს „ტრემაქსი“, რომლის პირველი პარტია უკვე გამოშვებულია და იმედია, მოხმარების კმაყოფილებას გამოიწვევს. რას ეყრდნობა ჩვენი ოპტიმიზმი? ძველ კონსტრუქციასთან შედარებით იგი უფრო პრაქტიკული და მოხერხებულია მოხმარების თვალსაზრისით: შესამჩნევად შემცირებულია წონა, გაუმჯობესებულია დგუშის მუშაობის პრინციპი. ეს აპარატი შარშან გამოგუშვით 10 ათასი ცალი, წელს ნავარაუდევია 40 ათასი. გარდა ამისა, ამჟამად თითქმის დამთავრებულია ხეხილის შესაწამლი აპარატის ახალი კონსტრუქციის დამუშავება, რომელსაც მალე მიიღებს მო-

ძენლია ამ ყოველად მარტივი საგნების საჭირო რაოდენობით წარმოება?

პასუხი: ეს მტკიცებელი პრობლემა მეტად რთული და მრავალმხანაგოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ეჩვენოს საქმეში ჩაუხედავ კაცს. თქვენ მიერ ჩამოთვლილი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით ზოგჯერ დროულად და სრულად რომ ვერ ვამარაგებთ მომხმარებელს, ეს სრული სიმართლეა, რომელსაც ვერსად წაუვალთ. ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ თანდათან ქრება მჭედლის პროფესია — დღეს საქართველოში აღარ გვყავანან მჭედლები! როგორც ოდესღაც ილია ჭავჭავაძე ნატრობდა რამდენიმე

აგრონომს, ახლა ჩვენს სამინისტროს ასეთივე სანატრული გავლენა ორივე მკვდელი! მაგალითად, თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღების ექსპერიმენტულ ქარხანაში, რომელიც 1979 წელს ამუშავდა და ორასამდე კაცს ითვლის, წამალდაც კი არ მოგვემდებება ერთი მკვდელი. ყველა პირობას ვუქმნით, თვეში 300-400 მანეთს ვთავაზობთ ახალგაზრდებს, რათა მოვიდნენ. შეისწავლონ ეს ძველის-ძველი და სასახლო პროფესია, მაგრამ სათოფედ არავინ გვეკარება — აღარ კადრულობენ უროს ბრახუნსა და ცხელ რკინასთან ჰილისს. მიამიტ მკითხველს, ალბათ, გაუკვირდება: ტექნიკური მიღწევების პირობებში მკვდლებს რაღას მისტირებენ. საქმე ის არის, რომ არ არსებობს მექანიზებულ-ავტომატიზებული მკვდლობა, წელან ჩამოთვლილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები კონვეიერული წესით არ მზადდება და კვლავ მკვდლის გრდემლი, ურო და მარჯვენა საჭირო. ოღონდ ჩემი ნათქვამი მკითხველმა ისე არ გაიგოს, რომ მკვდელი საბურველს თვითონ ამოძრავებდეს და უროს თვითონ ურახუნებდეს. არა! ლითონის გახურება, ტვიფრი თუ ურო და სხვა იარაღები მექანიკურად მოდიან მოძრაობაში ფეხის პედლის საშუალებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, საწარმოში მკვდლის საქმიანობა საკმაო ხმაურთან, მაღალ ტემპერატურასა და ჯათვასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, წელან ნახსენებ ექსპერიმენტულ ქარხანაში ორად ორი მკვდელი მინც რომ გვეყავდეს, ეს უკვე დიდი ბედნიერება იქნებოდა, ვინაიდან ორ კარგ ოსტატს შეუძლია წელიწადში დაამზადოს მაგალითად, 35-40, ათასი წერაქვი, 120-140 ათასი ცალი ძალაყინი... მართალია, აქ-იქ კიდევ შემორჩენენ მოხუცი პენსიონერი-მკვდლები, მაგრამ ისინი, აბა რაღას დაბრუნდებიან საწარმოში?! სხედან სახლში, კუსტარული წესით ამზადებენ თითო-ორიოჯ ლაზათიან საგნებს და კარგ ფასადაც ასაღებენ კერძოდ.

ეს რაც შეეხება მკვდლებსა და წარმოებას. ახლა გადავიდეთ მეორე მომენტზე. თქვენი კითხვის ბოლოში ჩემთვის ხელჩასაჭიდი უბრწყინვალესი სიტყვები გავიგონე — ამ იარაღების „საჭირო რაოდენობით წარმოება“. კი მაგრამ ვის შეუძლია სამინისტროს მიაწოდოს სანატრული ინფორმაცია: რას უღარი ეს „საჭირო რაოდენობა“? ჩვენში ხომ არ ექცევა ყურადღება, ანდა ძალზე სტიქიურად ხდება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა. სერიოზულადაც რომ მოვკიდოთ ხელი,

მინც ვაგვიჭირდება დაახლოებით პროგნოზირებაც კი, ვინაიდან მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით შეიძლება დაახლოებით მინც განისაზღვროს, მაგალითად, რა რაოდენობის ჩასაცმელ-დასახური თუ სურსათია საჭირო, მაგრამ აბა, როგორ განვსაზღვროთ ვის, სად, როდის რამდენი ბარი, თოხი თუ წერაქვი დასჭირდება. მაგალითად, ოჯახმა იყიდა წერაქვი, თუ არ გადააგდო ან არ დაკარგა, იგი რამდენიმე თაობას თავისუფლად ეყოფა და ცხადია, ყოველ წელიწადს აღარ იყიდინ. მაგრამ ჩვენ რა ვქნათ?! კვლავ ყოველ წელს ვაწარმოოთ? ვაი თუ არ გაიყიდოს, არადა, შესაძლოა, სადღაც ვიღაცას პაერივით სჭირდება, მოსახლეობის მოთხოვნილება კი არ არის შესწავლილი და არ გავგანხიანა ნათელი ინფორმაცია. ამიტომ საქმე ზოგჯერ არასასურველ კურობაშია მიდის. რამდენიმე წლის წინათ ათათასობით ძალაყინს ვაწარმოებდით. იგი დახლებიდან პირდაპირ ქრებოდა: ბოლოს შევფიქრიანდით: ყოველწლიურად ვის რაში სჭირდება ამდენი ძალაყინი. რა გაირკვა? თურმე მას თავისი პირდაპირი დანიშნულებისათვის კი არ იძენდნენ, არამედ, რაკი იაფი იყო, ბეტონის კედლებში ატანდნენ, ეზოებისა და ბაღჩა-ბაღების ბოძებდ და, ვინ იცის, რალაში არ ხმარობდნენ! ამ გზით ათასობით ტონა ძვირფასი ლითონი დაიკარგა! რა გამოდის? მკვდლების დეფიციტის პირობებში ჩვენ რის ვაივავლახით მინც ვამზადებთ ძალაყინებს, რომ ამ მეტად საჭირო იარაღით მოსახლეობა მომარაგებული გვეყოლოდა, ისინი კი თურმე... თუკი ასე იქნებოდა, არ ჯობდა ძალაყინების ნაცვლად უბრალო, სადა და იაფი რკინის ან ცემენტის ბოძები დაგვეზადებინა? რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ არა გვაქვს შესწავლილი მოსახლეობის მოთხოვნილებათა ხასიათი, ნიუანსები, მიმართულება.

ეს, რაც ვილაპარაკე, მედლის მხოლოდ ერთი მხარე იყო. ახლა ვნახოთ მეორე მხარეც. თუ საეკონომიკურად ესა თუ ის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღი ვერ ნახეთ, ეს ქვეყნისთვის არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვერ ვაწარმოებთ და ვალში ვართ რესპუბლიკის მშრომელებთან. ხშირია შემთხვევა, როცა ეს იარაღები წამალდაც კი არ მოიძებნება მაღაზიებში, საწყობები კი სავსეა!

კითხვა: რა არის მაგის მიზეზი?

პასუხი: მოუქნელი ვაჭრობა, ბიუროკრატიული აპარატი, ზოგიერთი უპატიოსნო ვაჭრობის მუშაყის კაპრიზები და უკადრისი მოსახრებები. არავის ეგო-

ნოს ყველა მათგანს ერთ ტაფაზე ვათავსებდენ, მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი თავს არიდებს ამ იარაღების მიღებას... რატომ? ჯერ ერთი, ძალზე მძიმეა. აბა, წარმოიდგინეთ ცულეებითა და წერაქვებით სავსე ყუთებს რამდენი ჯაჭვური და ოფლის ღვრა დასჭირდება. თანაც ისინი ეტანებიან ისეთ საქონელს, რომელზეც ყოველთვის დიდი მოთხოვნილებაა და, დაე მეპატიოს ეს გამოთქმა, რომლის გაყიდვისას მომხმარებელს ადვილად მოატყუებენ წონაში, ზომაში, სათვალავსა თუ ხურდაში და ჯიბეს გაისქელებენ. ძალაყინი, ცული თუ წერაქვი კი რა — ფასი ზედ აწერია და რას მოუხერხებს მყიდველს: წონაში მოატყუებ თუ ზომაში?! ამიტომ გაწუწუებული გამყიდველი თვალში ასეთი საქონელი „წამებებიანი“, „მკვდარი“, „შემოუსავლიანი“ საქონელია და ჰირივით ერიდებიან ბაზებიდან მის წაღებას. ის კი არა, რაკი კარგად იციან ეს ყველაფერი, ზოგჯერ თვით ცენტრალური საწყობიც კი თავს არიდებს ამ სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიღებას, შემდეგ მაღაზიებისათვის ვერ გავგიტანებიათ. აი, ამ მხრივ ასეთია მდგომარეობა და არ არის გამორიცხული, რომ ჩვენს მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე პროდუქციაც აღმოჩნდეს ამ დღეში. მაგრამ აღარ შეიძლება ასე გაგრძელდეს. გარდაქმნამ ახალი მოთხოვნილებები და კრიტერიუმები მოიტანა. თანდათან ხდება ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაცია და მჭერა, რომ ამ მტკივნეულ საკითხსაც ეშველება. ქართველმა კაცმა მიწისკენ მიიხედა. იგრძნობა, რომ მას პატიოსანი, დაუღალავი შრომა მოსწყურდა. ამიტომ ჩვენ ყველამ — ადგილმრეწველობის სამინისტრომაც და საეკონომიკური ორგანიზაციებმაც ისე უნდა ავაწყოთ მუშაობა, რომ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღზე მიუწვდებოდეთ ხელი და გუნება განწყობილება არავის გაუფუჭოთ.

კითხვა: როგორც ყველა სფერო, დღეს მრეწველობაც წარმოუდგენელია დიზაინის გარეშე. ის კი არა, დასავლეთში სწორედ დიზაინერები აყალიბებენ საწარმოს ეკონომიკურ პოლიტიკას. რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენთან?

პასუხი: აღარავისათვისაა დასაძლი, რომ უძრავობის პერიოდში როგორც სხვა ბევრი სიხარული, ისე დიზაინიც მივიწყებული იყო და არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ეს ამჟამად ატყვია ჩვენს მიერ გამოშვებულ პროდუქციასაც. ბევრი მათგანი ერთობ მძიმეა, ტლანქი, მოსახმარად მოუხერხებელი.

მაგრამ მდგომარეობა თანდათან უკეთესი გახდება, ვინაიდან მომხმარებლის გემოვნება დღით დღე იცვლება. უფრო ტენზიული ხდება. ამიტომ მომავალში უდიდესი ყურადღება უნდა დავუთმოთ ნაწარმის ესთეტიკურ-ფუნქციონარულ მხარეს, მის კონსტრუირებას, კონსტრუქტურულ-ინჟინერულ და მხარეთმშენებლობას, ფორმით-წარმოქმნას. სამინისტროს სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანება „პროგრესში“ შექმნილია სამხატვრო ლაბორატორია, სადაც გაერთიანებულნი არიან კონსტრუქტორები, ინჟინერები, მხატვრები, სოციოლოგები, დიზაინერები — სულ ორმოცამდე სპეციალისტი. სწორედ ისინი აძლევენ მხატვრულ ფორმას ყოველ ახალ ნაწარმს. შემდეგ ამ ნაწარმის მოდელი მტკიცდება სამინისტროს სამხატვრო საბჭოზე და ისე ეძლევა საგზაური სერიული წარმოებისათვის.

კითხვა: მართვის ავტომატიზირი სისტემები თანდათან იპყრობენ მსოფლიოს. ამ მხრივ თქვენთან რა ხდება?

პასუხი: გულისტკივილით შევნიშნავ, რომ დღემდე ვერ ვსარგებლობდით ამ სიკეთით. მაგრამ ყინული უკვე დაიძრა: ამას წინათ შევიძინეთ „ისკრის“ ტიპის მართვის ავტომატიზირი სისტემის კომპლექტი. სამინისტროს შენობის პირველ სართულზე გამოვანთავისუფლეთ საჭირო სათავისები და სულ მალე მთელი აპარატის მუშაობა გადავა მართვის ავტომატიზირი სისტემაზე. ეს აუცილებელი და საპასუხო ღონისძიებაა შარშან აპარატში მომხდარი იმ სტრუქტურული ცვლილებებისა, რომლის დროსაც 50 პროცენტით შემცირდა საშტატო ერთეულები.

კითხვა: რა პრობლემები აწუხებს სამინისტროს?

პასუხი: უმთავრეს პრობლემად რჩება ახალი მანქანა-დანადგარების ნაკლებობა. ბევრი საწარმო ტექნიკურ გადაიარაღებას საჭიროებს, რაც აუცილებელი პირობაა, ხარისხის ამაღლებისა და შედარებით რთული ასორტიმენტის ასათვისებლად.

როგორც ცნობილია, ლითონისა და პლასტმასის ნაწარმის ხშირი განახლებისათვის უნდა არსებობდეს მძლავრი ტექნიკური ბაზა ტვიფრებისა და წინების დასამზადებლად. ამჟამად სამინისტრო ამ უპირველესი პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობს. მშენებლობის პროცესშია ორი სპეციალიზებული საწარმო თბილისსა და ქუთაისში. მათი ამოქმედება კარდინალურად შეცვლის და ახალ საფეხურზე აიყვანს ჩვენი სამინისტროს მუშაობის ხარისხს, მოცულობას, შრომის ნაყოფიერებას, ასორტიმენტის ნაირსახეობას.

და, საკვამურიდან ორთქლის გორგალი ამოვარდა — ქოხში მყოფმა ლუმელში წყალი შეასხა, ცეცხლი ჩააქრო... წავა. წავა და ჩემი საქმე განაღებულს ჩანს. შემძლია, რამდენიმე დღე დავრჩე, დავისვენო, მოვწესრიგდე, ძალა აღვიდგინო... არ ვარგა! ერთი იმიტომ, რომ ეს გარეწარი, რაც მე მჭირდება, საფიქრებელია, ყველაფერს თან წაიღებს. მეორე ისა, რომ წავიდეს და ახლა სხვა ვინმე მოჰქლას?... ეგ ჰიპოთეზაა და არა საფუძვლიანი დასკვნა... ასეა თუ ისე, მაგის ხელიდან გაშვება არ შეიძლება!.. აი, სწორედ ეგ არის, რასაც შენში ავანტიურის უწოდებენ... მერე რა, ცუდია?... ჰო, კარგი, შენს ხასიათში კორექტივების შეტანა რამდენადმე დაგვიანებულია... ეხლა, ვთქვათ, ეს ნაძირალა ხელში ჩავიგდე. რა უნდა ვუქნა? მართლწესრიგის დამცველი უახლოესი დაწესებულება აქედან რამდენიმე ასეულ კილომეტრის მანძილზეა. თუნდ ყურის ძირში იყოს, მე მაგის იქ მიმყვანი ვარ? ამის დანახვა, იქნება, გაუხარდეთ კიდევ, მაგრამ ჩემს იქ გამოცხადებაზე რომ მთლად გადაირევიან!.. ეგ მამაძალი რამეს ხომ არა გრძნობს, ქოხისკენ რა მალიმალ და დაყინებით იყურება!.. ალბათ, ეჭვობს, ცოცხალი ხომ არ გადაპირჩა, კი არ გამოლოდნეს და მესროლესო. განვაგრძოთ: ჩვენ, ამხანაგო, აღმინისტრაციულ ორგანოებთან რაიმე ხასიათის ურთიერთობა ხელს არ გვაძლევს, მაგრამ სახეზეა მკვლელები და ასეთ შემთხვევაში პოლიციის განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის დასახვაა საჭირო... შეხედე მაგას, კარგა ღრმად სთხრის!.. დავიჭირო? მე ლანდილა ვარ. მკვლელები ჩემთან შედარებით ბაყბაყდევია და, ამას გარდა, მე ეგ კაცი ხელფხე შეკრული მჭირდება. ამას კი მხოლოდ მაშინ მოვახერხებ, თუ გრძნობას ან მოძრაობის უნარს დავაკარგვინებ. ასე! აქ მარგილი, ან მსგავსი რამ არაფერი გლია?..“

თაკარასთან სხვადასხვა სიგრძის დაუხერხავი შეშები ეყარა. მეტრნახევრიანი კეტი შეარჩია, წვრილი, კაპებიანი ბოლო ჰქონდა, ძირში მკლავის სიმსხო იქნებოდა. მკვლელმა ლაჭებამდე სიღრმის ორმო ამოიღო, თოფი გადაიკიდა და ქოხისკენ გამოსწია. გორამ ქოხს შემოუარა, სარკმელსა და კუთხეს შორის კედელს აეკრა. მკვლელები ზღურბლზე ჩამოჯდა, გააბოლა. ადგა, ზღურბლი გადაიარა. კარმა დაიჭრია და მიიხურა. ერთხანს რაღაც ფაჩიფუჩი და ფეხის ხმა იყო. მერე კარი ოდნავ გამოიღო. გორა მიხვდა, მკვლელები გვამს მოათრევდა, კარს უქანალით აწვეებოდა. კიდევ გამოსწია, ცალი ფეხი თოვლზე ჩამოვდა, მაგრამ ფეხი ღია კარის ფრთას გორას დასანახზე არ გამოსცდენია. მკვლელმა გვამი კიდევ ერთხელ გამოსწია. ახლა ტანი ისევ კარს იჭით ჰქონდა, მაგრამ მარცხენა ფეხი ბარძაყის ნახევრამდე გამოჩნდა. გორამ ნაბიჯი წადგა, კეტი მოიჭნია, მუხლის სახსარში მთელი ძალით უწვდინა და სანამ მკვლელები დაყვირებას მოასწრებდა, ერთი დარტყმაც მარჯვენა მხარის ლავიწის ძვალზე გამოუვიდა — მკვლელმა თავის გადახრა მოასწრო. ყოველივე ეს სამიოდე წამში მოხდა.

მხოლოდ ამის შემდეგ დაიღრიალა მკვლელმა, ზურგისკენ გადაქანდა, თოვლზე ზღართანი მოადინა, გორას შეხედა და ისევ დაიღრიალა. ღმერთმა იცის, რისა იყო ის დაღრიალებები — ტყვილისა თუ მოულოდნელობის. გორა კედელზე მიყუდებულ თოფს მისწვდა, კეტი მოისროლა, ბებუთი დაიძრო და მკვლელს თვალი თვალში სჭიდა. ახალგაზრდა კაცი იყო. საღ ხელს უაზროდ იქნევდა და ნადირივით ღმუროდა. გორამ თოკი შეიხსნა, მკვლელების ხელ-ფეხის გაკოჭვას შეუდგა. მკვლელები წინააღმდეგობას უწევდა. საღი ფეხითა და ხელით იგერიებდა, მაშინ გორამ გადაგდებული კეტი მოიტანა, დაანახა და ხმადებლა უთხრა:

— დაწყნარდები, თუ ეგ ხელ-ფეხიც მიგიტყვი?

მკვლელები იმ წამსვე დაცხრა, მხოლოდ ბღღვინავდა. გორამ გაკოჭა, ცხედარი გამოახოხა, მკვლელს გვერდით მიუწვინა. თავად ზღურბლზე ჩამოჯდა, სული მოიტქვა, ტყვე შეათვლიერა, მკვლელების თოფი წაიღო და ქოხში შევიდა. ორი კარგად გამოტენილი ზურგჩანთა დაინახა, ზედ ციყვის ტყავების შეკვრა იღო. დაიხარა, ჩანთები მოსინჯა. ერთ-ერთს ზონარი შეხსნა, ახლანად გამოცხვარი ხმადი ამოიღო, მოტეხა, პირში ჩაიღო და ღეჭვას მოჰყვა. იწვალა, სანამ ლუკმა დაიფეჭებოდა. კიდევ ჩამოატეხა, პირისკენ წაიღო და ისევ ჩანთაში ჩააბრუნა.

„აღარ შეიძლება, ჯერჯერობით კმარა! კბილებს მოვლა უნდა, წიწვის ნახარშის სმია საჭირო. საზიზღარი რამეა. ამ ჩანთებში შეიძლება ვიტამინებიც იყოს... როდის აქეთ დაიწყეს პროფესიულმა მონადირეებმა ვიტამინების ტარება, ჰა?!. ვითომ რათათ? ამათ სეზონის მანძილზე მონადირეთა საზოგადოება ამარაგებს. საკვებიც მოაქვთ და მედიკამენტებიც... ეს ერთადერთი, განუმეორებელი მძარცველი ჩანს ციყვის ტყავებზე ნადირობს... თუკი რამ ყბის მოსაქნევი დახვდა, ერთიანად მოუხვეტია და მიჰქონდა. ვინ იცის, რამდენი ხორაგი ჩანთქა. აი, თოფი, ვაზნები, პატრონტაში! ეს რაღაა? ამ პარკში საფანტია. ამ კოლოფში? თოფი? წამალი ყოფილა. ესაც წასაღებად გაუმზადებია...“

გორამ თოფებს დაუწყო სინჯვა. ორივე გატენილი იყო. ვაზნები ამოიღო, ლულებს გახედა, ისევ გატენა, კვლავ დაათვალიერა და გაფაციცდა! ერთ-ერთის კონდახზე სამი ჯვარი იყო ამოჭრილი. თოფი დადო, ზღურბლზე ჩამოჯდა. ერთხანს ტაიგასა და ცის დასალიერს უყურა. მერე მკვლელს დააკვირდა, იქამდე უცქირა, სანამ თვალს განზე გაატანინებდა.

— ვინა ხარ? — ხმადებლა ჰკითხა.
— „ბარსუკი“. შენ გორა ხარ?
— გორა ვარ. საიდან იცი?
— ორი თვის წინ ლაპარაკი იყო. წავიდაო.
— მორბენალი ხარ?
— არა. ამ ერთი თვის წინ სამუშაოზე მივყავდი, ინვალიდების ბრიგადა. მდინარეზე ყინული ჩატყდა. ბრიგადა თავის

ბადრავიან-ძაღლებიანად ყინულქვეშ წავიდა, ყველა დაიღუპა. მე რაღაცნაირად გადავრჩი... შენზე ამბობდნენ, რა გზაზე წავიდა და დაიღუპა.

— აქ რანაირად აღმოჩნდი?
— იმ მდინარის შენაკადს ამოვყევი. ხუთი დღე-ღამე ვიარე, მშვიერი ვიყავი და გათოშლილი. ქოხი ვნახე. იმ ქოხმა გადაპირჩინა.

— თოფი საიდანა გაქვს?
— ეგეც იღბალია. პირველ ქოხში ვაზნები ვნახე. სხვა რამეებიც წამოვიღე. მეორე ქოხი ვნახე, დიდი ხნის წინ მიტოვებული... შენაკადის ამოყოლებაზე, ერთმანეთისაგან ორმოცდაათი, ხანდახან ასი კილომეტრის დაშორებით, სხვა ქოხებიც არის. მოკლედ, იმ მიტოვებულში ღამე გავათენე. წამოსვლის წინ იქაურობა გაგჩხრიკე, ეგ თოფი ვიპოვე. კარგი თოფია.

— კარის საპირეს უკან იყო?
— ჰა?... — გაუყვირდა ბარსუკს. — კი!
— ქოხის კარზეც იყო სამი ჯვარი?
— იყო, იყო, კი!.. ნამყოფი ხარ?
გორა დაღუპდა და კარგა ხნის შემდეგ-ლა ჰკითხა:

— აქ რას დაწინააღმდეგებ?
— სამხრეთისკენ ხელცარიელი წავიდე? აკუწულ-დაკუწული ვარ, ინვალიდები. შენ მარბენალი ხარ, იცი, სანამ სადმე ფეხს მოვიკიდებ, რამდენი ფულია საჭირო.
— ხელცარიელი? ამ უკაცრიელში რის მშოვნელი ხარ?
— ბეწვეულის.

გორა დაფიქრდა. მერე უკან გადაიხარა, ფულად შეკრულ ზურგჩანთებთან ერთად წასაღებ ციყვის ტყავებს თვალი შეავლო. კიდევ პატარა ხანს იფიქრა და მკვლელს თავზე წაადგა.

ბარსუკი დაბნეულ თვალს აცეცებდა, ვერ გაეგო, რას უპირებდნენ. გორამ ბებუთი გააშიშვლა, ბარსუკის ჩხრეკას შეუდგა, ქამარს ქვეშიდან ფინური ბებუთი ამოაცალა. ჯიბეები მოუსინჯა, უბის ჯიბიდან პასპორტი, მონადირეთა კავშირის წევრობის მოწმობა და რეწვის ნებართვა ამოუღო. ყოველივე ეს პოლიეთილენის პარკში იღო, პარკს წვრილი რეზინი ჯვარედინად ჰქონდა შემოჭერილი. ცოტაოდენი ფულიც იყო. პასპორტი გადაშალა, ხმით წაიკითხა:

— ვასილივე მიხაილ ივანოვიჩი... ესე იგი, ორმოცდაათობმეტი წლისა, — დასძინა, მოკლულს დააკვირდა და თქვა: — ეს კაცი გაცილებით ახალგაზრდაა. საბუთები სხვისია! სხვისი საბუთებით ცხოვრობდა? სახითაც სულ სხვა კაცია. — იყუჩა, ისევ მკვლელს ჩააცქერდა და მკვხედ უბრძანა:

— აბა, გადაბრუნდი!
— რა გინდა, შე ქაჯო, შე კატეჰამია, შე ჭაობის ტარტაროზო, რას მაწვალე!
— გადაბრუნდი-მეთქი!

მკვლელები გადაბრუნდა. გორა ჩაცუცქდა, შარვლის უკანა ჯიბე მოსინჯა, ახალი ნაპოვნი ისეთსავე პოლიეთილენის პარკში ჩადებულს, რეზინშემოჭერილი საბუთების კიდევ ერთი შეკვრა იყო.

— ეს ამის საბუთებია! — მოკლულზე დაათოთა. — ტარანო სერგეი პეტროვიჩი. რამდენისა გაძოდის? ორმოცდაექვსის.

გორა ქოხში შებრუნდა, ღუშელი გამოასუფთავა, დაანთო. ჩანთები დაჩხრიკა, ფაფის კეთებას მიჰყო ხელი.

„იმდენი ნელი თევზი გქაძე, დავიჯერო უფიტაძინო იყო? ჩრდილოეთში ჩიფირს სვამენ. მეც ხომ ბანაკებში დავიჯერე, აგერ, ოცდაათი წელიწადია ვსვამ. ლიტერატურაში არსად შემხვედრია, მაგრამ პატიმრებმა გამოცდილებით იციან, — ჩაიში რაღაც ნივთიერებებია, ორგანიზმში ვიტამინებს აკავებენო. სიმარტოეს ჰავას. კოლიმაზე ჩი არა მქონდა და ცინგა დამეძარა. სხვაგან არსად დამძარა, ჩაის სვამდა და იმიტომ. რა ხანია, ჩიფირი არ დავვილევია, გორავ!.. დავლევთ, ღმერთმა გამოგვიზავნა. ესლა ამ ნაძირალასი ვთქვით... ყველაფერი ცხადია. ირბინა, ვაზნები იბოვნა. მერე ჩემი, ესე იგი, მიშა ფილიპოვის მამის ნაქონი თოფიც წამოიღო... ამ მამაძალს ის მონადირეც მოკლული ჰყავს — მიხაილი ივანოვიჩი ვასილიევი, ტანსაცმელი იმისი აცვია... მოიცა, ყველა დაიხრჩო! ამის გადარჩენისა არავინ არაფერი იცის. მაშინ ეს საძაგლობები ვისი ჩადენილია? გორასი!.. ჰაა, მიტილენიჩ, შენ ამას დაიჯერებ? გორა კარგარეთელი — მძარცველი და მკვლელი?.. გართულდა საქმე. თუ ამის მოკლულს მიაგნეს — მონადირეები, ხანტი-მანსის შინაგან საქმეთა სამმართველო — ყველა ერთად გექებს და მშობლიური ოპერსამსახური ხომ გექებს და გექებს! კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა. არაფერია, მონადირეებს არ შეეშლებათ, ორი კაცის სხვადასხვანაირი კვალი დევს — ამისი და ჩემი. მართალია ამ ქოხის ჩრდილოეთით, ანუ ჩემს სავალზე, ბოროტმოქმედება არსად აღნიშნულა, მაგრამ ეს შესაძლოა, იმით ახსნან, რომ აქამდე გასაძარცვი და მოსაკლავი არაფერი და არავინ შემხვედრია. აქ შემხვდა და დამშულო, გამწარებული მორბენალი რომ ყველაფერს იკისრებს, ეს გამოცდილებით არის დადასტურებული... ამ დანაშაულის ჩამდენი უნდა გამოძიებით დადგინდეს, ამიტომ ორივეა ასაყვანი, ჯერ როგორც გაქცეულები და მერე როგორც... ყველაფერი ცხადია, მახეში ვარ გაბმული! დავრჩე აქა? როცა იქნება მოვლენ. წავიდე, ვიარო? კვალი რჩება, დამეწვიან. ეს მამაძალი საიდან დამეცა! მიტილენიჩს, იქნება, მკვდარი ვგონივარ. ვივლიდი ჩემთვის, ვიფრატუნებდი და ბოლოს რელსზე დავკვებოდი. ესლა რა ქნას პეპელამ?“

გორამ ფაფა მიირთვა, ჩიფირი მოიხარშა, სვენებ-სვენებით დალია. ბარსუკმა ყვირილით ყურთასმენა წაიღო, — შემცივდა, ქოხში შემიყვანეო!

შემოათრია, ხელ-ფეხი შეუხსნა და უთხრა:

— გაიარ-გამოიარე!

ბარსუკი კვნესა-კვნესით და ლანძღვაგინებით წამოიმართა, ცალ ფეხზე დადგა, მეორეთი ნაბიჯის გადადგმა სცადა, კვლავინდებურად აღრიალდა, ისევ იატაკზე დაჯდა, გათოშილი ზურგი ღუშელს მიაფიცა.

— ეს რა მიქენი!.. ესლა რა უნდა ვქნა, ჰა?... მოვლენ, მომკლავენ!

— ეგ არ მექნა, არ დავიჯერდენ, შეგრჩებოდა?

გორამ ისევ გაკოჭა ბარსუკი, ხელები

ზურგსუკან შეუტრა, კერქვეშ მსხვილი ღოჯი ერჭო, თოკის ბოლო იქ შეკვანდა, თოფები მხარზე გადაიღო და ქოხიდან გავიდა.

ცა მოქუფრული იყო, გორას თოვლის იმედი გაუჩნდა და იმ ადგილს მიაშურა, სადაც ბარხანა ჰქონდა დატოვებული.

„ბანაობა, რეცხვა, სარეცხის გაშრობა, ტანსაცმლის შეკეთება, ერთი დღე. კაი, ბატონო. ამ უბედურის დაკრძალვა, ჯვრის გამოთლა, წარწერა — კიდევ ერთი დღე. ჩვენებაც ხომ უნდა ჩამოვართვა და ჩემი ახსნა-განმარტებაც დასაწერია. ამა-საც, სულ ცოტა, ერთი დღე დასჭირდება. რამდენი გამოდის? სამი დღე!... სამი დღე? მე ისე მგონია, ბარსუკის მღვევარი, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უნდა გამოჩნდეს... მეც ეგრე მგონია, მაგრამ გააჩნია, როდის დაადგენენ მაგის კვალს და ხომ ყველა ის ადგილიც უნდა შემოიარონ, თუკი სადმე ფეხი დაუდგამს. ეს ქოხი ბოლო პუნქტია; აქ სულ ბოლოს მოვლენ. ვერაფერი დავსაბუთებ, მაგრამ ინტუიცია მქარანახობს, მღვევარი მოვა არა უადრეს ერთი კვირისა. რამდენიმე ასეული კილომეტრი უნდა იარონ. დასვენება და ძილიც ხომ საჭიროა. როგორც უნდა იყოს, სხვა გამოსავალი არ არის... ახლავეც რომ წახვიდე, ამ მისუსტებულ-მიფამფალებულ კაცს ტვირთის თრევაც შეგიძლია და მარად სიარულიც?.. თუ არ დავისვენე და დასვენება კარგი კვებით არ იქნება თანხლებული, შესაძლოა, ათი კილომეტრიც ვერ გავიარო, არათუ ის მანძილი, რაც ფილიპოვის ექვსეზნაიან ქოხამდეა გასავლელი... ერთი კვირა, თუნდ ექვსი დღე აქ ყოფნაც რომ უკიდურესი რისკია?.. არის კიდევ ერთი სუსტი ადგილი — მიტილენიჩი! თუ უკვე მიხვდა, რომ ზუსტად მეოთხმოცე მერიდიანს მივყვებით... ნამეტანი მშვენიერ ამბავში ვავებით, პატივცემული!.. ეგრეა. თან საქმე!“

გორამ ბარჯი წაიღო, ქოხში შეიტანა, ღუშელს შეუკეთა, წამოწვა.

— ყური მიგდე, — ცოტა ხნის შემდეგ მიმართა გორამ ბარსუკს. — მე აქ რამდენიმე დღე ვიქნები. შენ საკმაო დრო გაქვს, იფიქრე, ყველაფერი აწონ-დაწონე და გადაწყვეტით მითხარი, ჩემ ადგილას როგორ მოიქცეოდ. ნუ აჩქარდები, იფიქრე!

გორამ მონადირე დაკრძალა, ქოხში მასალა მოიტანა, ჯვარი გამოთალა. თაროზე ფანერის ცარიელი ყუთი იდო. გვერდი მოაგლიჯა, ქიმიური ფანქრით დაწერა: «Тарахно Сергей Петрович. Убит грабителем. Документы — под крестом» და ჯვრის ვერტიკალურ ძელზე ლურსმნით მიაჭედდა. ჯვარი წაიღო, სამარზე მკვიდრად დაარჭო, ქოხში შემობრუნდა და სარეცხის სამზადისს მისდგა.

ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ეგ არის, შუალამე გადასული იყო, ბარსუკმა ღრიალი მორთო, ბორგავდა, თოკიდან აწყვეტას ლამობდა, — მოვიდნენ, აქ არიან, ორივე უნდა დაგვხოცონო!

— სიზმარი ნახე, მართლა გაიგონე რამე, თუ სიმულაციას აპირებ? — ჰკითხა გორამ.

— აქ არიან, გათენდება, ორივეს დაგვხოცავენ!.. არ მინდა, არ მინდა... — თავისი არ დაიშალა ბარსუკმა და ეს მოლანდება თუ ფანდი რამდენიმეჯერ განმეორდა.

— იმათ უნდოდათ სიკვდილი? ამ ერთ თვეში სულ ცოტა ორი კაცი გყავს მოკლული.

ბარსუკმა ხმა ჩაიწყვიტა.

გორამ კაი ხანს ვერ დაიძინა. ჯერ იმაზე ფიქრობდა, — ამ ოხერმა არაფერი იხიბანა, ხელ-ფეხის ახსნის რატომ [ხეჭხეჭ] ხომ არ მიაგნო. მერე იმაზე ფიქრობდა, ტანი უგრძობს და მართლა უკვე აქ სადმეა მღვევარიო. ახლა იმაზე, — რაიმე გამოსავალი და საშუალება თუ არსებობს ამ კაცანათიდან თავის დაღწევისათ.


„ჩემს ხელთ არსებული შესაძლებლობებით, მათ შორის, გონებრივითაც, და დანებების მერს რას ვიხამ?.. ვერაფერს, გენაცვალე!.. ამიტომ — „ო, ამოვებავ ამოვებათა“ და აი, საინტერესოა აზრმა რომ გამირბინა, იმაზე ვიფიქროთ — ადამიანის სიცოცხლის გაუფასურებაზე. მალთუსისა არაფერი წამიკითხია. ასე მოსაზრებაზე რას იტყვოდა: კაცობრიობის არსებობის იმ საფეხურებზე, როდესაც ერი, ტომი თუ გვარი მცირერიცხოვანი იყო, ადამიანის სიცოცხლე ძალიან ძვირად, მკვლელის, იქნება, მთელი მისი ოჯახისა თუ გვარის სიცოცხლედ ღირდა. მე თუ მკითხავს ვინმე, სისხლის აღების პრინციპი ადამიანის სიცოცხლის სიძვირემ განაპირობა. როცა ჩვენს პატარა პლანეტაზე ოცდაათი მილიარდი იცხოვრებს, ერთეულის სიცოცხლეს ისეთივე ფასი ექნება, როგორც, ვთქვათ, საშუალო საუკუნეებში, თუ გაი-აფლდება? რას მიუსჯიან სასამართლოები მკვლელებს? ადამიანთა რიცხოვრების სიჭარბე რას მოიტანს?.. უკვე გაუფასურდა, თორემ ამ ნაძირალას მიეცემოდა შესაძლებლობა, ორი უწყინარი კაცი მოეკლა?.. უკვე მთელი კაცობრიობის, თვით პლანეტის სიცოცხლეა გაუფასურებული. აგერ, მასობრივი განადგურების უდასვეწილესი საშუალებები! ხუთ მილიარდს პირი დაუღია, ელის, პარანოიკები როდის მოუღებენ ბოლოს და უხარია!.. ეს ბარსუკია თუ მაჩვი, შეიძლება არც დახვრიტონ. აი, მე რომ დამეწიონ, ნამდვილად მომკლავენ, ან შიშველს ხეზე მკვიდრად დაბმულს დამტოვებენ, ნაღლია!“

გორას ჩაეძინა.

შემდგომმა სამმა დღე-ღამემ ისევ სამზადისში, დასვენებასა და ფიქრში გაიარა. ბარსუკი მაინც ყოველ ღამე ღრიალებდა. — მოვიდნენ, უნდა მომკლანო! გორა უნებლიეთ წამოვარდებოდა ხოლმე და ყოველი წამოფორიაქება მძაფრ სტრესად უღირდა. რას იქმს კაცი, მისივე სიტყვებით: ნებისყოფა — ღირსება, შიში — თანდაყოლილი რეფლექსი და ვერსაით გაექცევი. ისიც საფიქრალი იყო, რომ ბარსუკი, სულ ადვილად შეიძლებოდა, ჭკუაზე გადამცდარიყო, ან თავი მოეგეითანებია, რაც გორას ჩანაფიქრს სერიოზულ დაბრკოლებას შეუქმნდა და, იქნება, საერთოდ ჩაეფუშა კიდევ. გზაზე დასადგომად გორას, თითქმის, ყველაფერი მზად ჰქონდა, თავსაც კარგად გრძობდა, საუბრის დაწყებისთვის მომენტით შესაფერისად მიიჩნია და უთხრა:

— ამ ვითარებაში ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდი-მეთქი? ვილაპარაკოთ. ბარსუკს, ეტყობა, სათქმელი მოფიქრებული ჰქონდა:

— ცოცხალი თუ ვარ, მაგათ არ იციან. შენ რომ წამოსული ხარ ამდენ ხანში ყველა მონადირეს გააგებინეს, მთელმა ტაი-გამ იცის. მე კი არ მეძებენ, შენ გეძებენ! რაც მე ჩავიდინე, შენი ჩადენილია და გეძებენ. გაიგე? თუ წახვალ და ცოცხალს დამტოვებ, ყველაფერზე ხელებს დავიბან,



ყველაფერს შენზე გავტეხავ. როგორ დაამტკიცებ, რომ შენი ბრალი არაფერშია? მაგათ უბატრონო მკვდრები არ უყვართ. პატრონიც აქა ხარ! ერთი მკვდარიც რომ აგვიდონ, დასახვრეტად საკმარისია. აგვიდებენ. გაიგე?

— გაიგე, მაშ!

— აი, ყური მივდე, კაი რამე გითხრა. შენ დამბალი ინტელიგენტი ხარ — „სიღორ პოლიკაროვიჩი“. თქვენ ისე გგონიათ, უბრალო კაცებმა ფიქრი არ ვიცით. ყველაფერი მოფიქრებული მაქვს. ტყუილ-უბრალოდ არ მიწინაწალია, ტურისტი არა ვარ. ბლომად ბეწვეული მოვაგროვე! საჭმელიც იმდენი მაქვს, ორთავეს დიდხანს გვეყვოდა და თოფებიც აქ არის. საჭმელი სამალავში მაქვს, ისეთი ადგილია, ეშმაკი ვერ მიაგნებს. საცაა სეზონი გათავდება, მონადირეები წაეთრევიან, ტაიგა დაცარიელდება. სამშვიდობოს გავიდეთ, ბეწვეულის მუშტარი ვიპოვნოთ, ნახევარი გაგიყვან, წაიღე შენი წილი და ჩვენი ჩვენი გზა ვნახოთ. კაი სიტყვაა?

— ძალიან! უკეთესი — ძნელი სათქმელია. შენ რა თქვი, სამალავი მაქვსო?

— მაქვს. ვერაფერ ვერ მიაგნებს!

— ვერც მონადირეები?

— მონადირეებმა საიდან იციან, რომ სამალავი მაქვს?

— რაც ხორავი და ბეწვეული ნახე, სულ მოიპარე ან წაართვი. ეხლა, მონადირეებმა როგორ იფიქრონ, ყველაფერს თან ატარებ?

— ჰო! — ბარსუკი დაფიქრდა და მიუგო: — კვირაზე მეტია, ცხრა დღეა იქ არა ვყოფილვარ... ვერ მიაგნებენ! — მტკიცედ თქვა, მაგრამ ხმაში ყოყმანმა დაუქლერა.

გორამ მცირე ხანს იყუჩა და ჩაილაპარაკა:

— სამალავი! ეგ კარგია. რაც გვიან მიაგნებენ, მით უფრო კარგია. ეხლა, მისმინე. სახელდობრ შენ, ბარსუკს, მართლაც არავინ გეძებს. არ იციან, რომ ვადაჩი. ეგ არის, კვალს მარტო ჩემსას კი არა, შენსასაც აიღებენ. ჩემი ჩრდილოეთიდან მოდის. ერთიც აღმოსავლეთიდან. ვისია? ვისიც უნდა იყოს, იარა, თავისი საქმეები აკეთა და აქ მოვიდა. ესე იგი, ის საქმეები ვილაყა სხვამ აკეთა და არა გორამ. აქედან გამომდინარე, შენი ნამოქმედარის ჩემზე აკიდება, არც იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ ცოცხალი დავტოვებ და არც მაშინ, თუ სიცოცხლეს გამოვასალმე. ეხლა, რაც ბეწვეულის სარეალიზაციო კომპანიას შეეხება. მე, აგერ, იმ გორაკზე ვიყავი ჩასაფრებული და ველოდი, მონადირე თავის საქმეზე როდის წავიდოდა, რომ შემოვპარულიყავი და ცოტადენი რამ მეჭამა. სროლა გავიგონე, არც დავფიქრებულვარ, ჩამოვირბინე. რატომ? იმიტომ, რომ მკვლელობა მოხდა და როგორ მდგომარეობაშიც უნდა ვიყო, ჩემი საქმეში ჩაურევლობა არ იქნება! ეს ჩემი არსებობის პრინციპია. მინდა გკითხო, მკვლელთან შეამხანაგება, ნაძარცვის გაყიდვით ფულის შოვნა და მერე უსინანულო ცხოვრება ხსენებულ პრინციპებს როგორ შეეფუთახნომ? მე გითხარი, — მოისაზრე, ჩემ ადგილას როგორ მოიქცეოდი და მითხარი-მეთქი. ამასთან ერთად გაგაფრთხილე, ეშმაკობასა და მოტყუებაზე არ გეფიქრა. შენ ლენინგრადის ბეწვეულის აუქციონზე კომპანიონად კი არ გპირდები — ხორცად გინდივარ და, უმჯობეს შემთხვევაში, მოწყალეების დად,

მზარეულად და სახედრად, ასე ვთქვათ, შეთავსებით გამოყენებისათვის. მაშ ამ დამტკიცებულ-დასახიზრებულ კაცს მკურნალი, მზარეული და ტვირთის მზიდველი არ უნდა? უნდა და, აგერა, არიფი! ეგაც არაფერი. ვთქვათ, სამშვიდობოს მართლაც შევძელით ვასვლა, გავიტანეთ შენი ნაძარცვი და მუშტარიც ვიპოვნეთ. გორა რაღა-ში გპირდება? ლამე მომეპარები და დანის გამოყენება ჩემზე უარესად არ გეცოდინება, უკეთესად თუ არა. შე ვირეშმაკავ, შენა, მაგის მჭამელი ვარ? სიცრუის მთქმელის მთავარი დანაშაული სიცრუის თქმა კი არა, მსმენელის სიცრუით შეურაცხყოფაა. იმოდენა იდიოტი გგონივარ, ეგ ზღაპრები დავიჯერო? კარგი, კმარა. ცაცია ხარ, არა?

— მეე?.. ჰო ცაცია ვარ... მერე რა? — შემოულრინა ბარსუკმა.

— არაფერი. კეტი რომ მოგიქნე, მარჯვენა მხარი და ხელი დაგიზიანდა და არა მარცხენა. ეგაც ჩემი ილბლიანობაა, მე შენი სალი ხელი მჭირდება — ცაცია! ეხლა, აი, რა: ორში ერთი უნდა მოხდეს. ან დაჯდება და საკუთარი ხელით დასწერ ყველაფერს, რაც იმ ტრაგედიის შემდეგ ჩაიდინე, ხუთი დღის საკვებს დაგიტოვებ და წავალ. ან მოგკლავ, დაგმარხავ, თავად დაწვერ ყველაფერს და ჩემ გზას დავადლები. აირჩიე!

— წერა-კითხვა და საქსოფონი არ მეხერხება, — მკვახედ მიუგო ბარსუკმა.

— ადი სკამზე! — უბრძანა გორამ.

ბარსუკმა შეაფურთხა, ვერ მიაწვდინა. გორამ კეტი დასცხო.

— ადი-მეთქი!

ბარსუკი გამოხონდა, იწვალა, იკვნესა, ავიდა.

გორა მართლა იყო გაბრაზებული. მაგიდას მკლავი გადაუსვა, ზედ თუკი რამ იყო, ძირს გადაყარა. თაროდან რვეული გადმოიღო, მაგიდაზე დადო, პასტის კალამი მიუშარჯვა.

— დაწერე: „ამ ფრაზის ვარდა...“

— მე გითხარი, წერა-კითხვა და კლარნეტი არ მეხერხება!

გორამ გულიანად გაიცინა:

— შენ ეყოვი და ბერია გავიგონია? იმათი ბიჭების ხელში გამოვლილი კაცი ვარ. იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება როდისმე ხომ უნდა გამოვიყენო!.. ჩვენ საქმეში პრიმიტიულ, მილიციონერის მიერ გამოგონილ ხერხებს არ იყენებენ. სოლიდური ხალხი ვართ. აი, მაგალითად, მაგ ცალ ფეხზე დაგაყენებ. იდგები, სანამ წაიქცეოდე. კეტს დაგიშენ, ისე იდგები. მერე დასიებულ წვივებზე დაგახედებ და დასწერ. აი, კიდევ ერთი ჰუმანური ხერხი: დაგამშენ, დაჯდები და შენს თვალწინ გჭამ. ერთ კვირაზე მეტს ვერაფერ ვერ უძლებს, სწერენ. უფრო დახვეწილია გაყინული კარცერი. ტექნიკური აღჭურვილობა გვაკლია, მაგრამ ბუნებრივ ყინვას გამოვიყენებ. გაითოშები, დასწერ. თბილისის შინაგან ციხეში ექიმმა შარი მომლო, — კბილები გტკივო. ჩამიყვანეს, დამსვეს, ქათქათა წინსაფრით შემომოსეს და გამომძიებელიც შემობრძანდა — არტაშეს მიხაილოვიჩ თუ გრიგორიჩ მარკაროვი! ექიმმა გაზი მოიმარჯვა, ფესვებიანი კბილების დაძრობა დამიწყო — რა თქმა უნდა, უნარკოზოდ. ამ მკურნალობის დროს გამომძიებელი მარკაროვი მიაშიტად, გადაჭარბებული ზრდილობით მეკი-

თებოდა, — წინა ჩვენებებზე დასამატებული ხომ არაფერი გაქვთო? ხედავ, ღაროზე პატარა ჟანგიანი გაზი დეკან? მის კვალიფიკაცია და გამოცდილება ჩემზე უფრო მომავალა, მაგრამ რაღაცას მაინც მოვახერხებ... სინტაქსისა, მაგათ თავისი კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი აქვთ თუ არა? ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. ექნებათ... მთავარი კი ის არის, რომ თუ არ დასწერე და ამასთან ყველაფერი ისე ზუსტად, როგორც ნამდვილად იყო, მაშინ სხვა გზა არა მაქვს, უნდა ვაგასალო. სამარე მზად ვახლავთ. პაპაჩემმა იაგორ კარგარეთელმა მასწავლა, — დაუმარხავი მკვდრები არ შეიძლებაო! ვაგასალებ, დაგმარხავ, დაწვერ, რაც საჭიროა, დავტოვებ ამ მაგიდაზე და გზას გავუდგები...

— არ დაწვერ! — ბარსუკს ნერვები დაწვევებზე ჰქონდა.

— აბა, ხოხვით სამარისკენ! — უყვირა გორამ და ისევ კეტი დაუშინა.

ბარსუკი განხონდა, მაგრამ ეს იყო ინსტიტუტი რეაქცია ტკივილზე და არა სიკვდილზე თანხმობა. ზღურბლამდე კი მიხონდა და დაიძახა:

— დაწვერ, დაწვერ!.. — გორამ კეტი დაუშვა. — საჭმელი თხუთმეტი დღისა დამიტოვებ და დაწვერ!

— გადავიფიქრე. შენი ცოცხლად დატოვება არ შეიძლება. მიდი, გახონდი-მეთქი, — წყნარად თქვა გორამ და კეტი ისევ შემართა.

— დაწვერ, აღარ დამარტყა! — ამოიკვნესა ბარსუკმა, გახონდა, იწვალა სკამზე ავიდა. — დამაცადე, სული მოვიტყვა, აზრი მოვიკრიფო.

— დაწვერ პირველი ფრაზა: „ამ ფრაზის ვარდა, მთლიანად, ყველაფერს ნებაყოფლობით ვწერ“. ეხლა, გაქცევის დღიდან დღემდე!

გორას დამშვიდება სჭირდებოდა, ბოლოს მისდგა. ცოტა ხნის შემდეგ თავდაც წერას შეუდგა, რვეულის ერთი გვერდი შეავსო და ხელი მოაწერა.

კერძის კეთებას მიჰყო ხელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბარსუკის ნაწერს დახედა, ჩაიკითხა და გაკვირვებით აღნიშნა:

— ყოჩაღ, ბიჭო! შენ ისეთი კარგი სტილი გქონია, რომ საქსაფონზე დაკვრაც გეცოდინება.



ლამემ ჩაირა. ბარსუკი ხვედრს შეურთვდა, აღარ უღრიალია. გამთენიისას გორამ ხელ-ფეხი შეუხსნა, ხუთი დღის საკვები მაგიდაზე დაულაგა, თავისი ბარხანა გარეთ გაიტანა, ქოხის კარი მკვიდრად აქვდა, ზედ ქალაღი მიაკრა, — განიარაღებული ბოროტმოქმედი ქონშია. მერე მონადირის სამარესთან მივიდა, პოლიეთილენის პარკში საიმედოდ გახვეული მოკლულთა საბუთები, ბარსუკისა და საკუთარი ჩვენებები ჯვრის ძირას დაჰფლა, მონადირის თოფი ერთიანად დაღეწა, საფლავეზე დადო და გზას გაუდგა.


„მდევარმა კვალზე თუ იარა, მაგის სამალავს უეჭველად მიაგნებს და სწორედ იქ ჩაუსაფრდება, — შიმშილი მოიყვანსო! თუ ბევრნი არიან, ორნი იქ დარჩებიან. ორნი ან სამნი კვალს გამოჰყვებიან. თითოკაცად დევნას ვერ გაბედავენ. იციან, იარალი აქვს... ცა მოქუფრულია. იქნება, ინებოს განგებამ და უხვი, ხანგრძლივი თოვლი მაჩუქოს?“

ლია სვანიძე, რესპუბლიკის
დამსახურებული მხატვარი და
პოეტი ქალი, მთელი თავისი
შემოქმედებით მშვენიერებასა
და სიკეთეს ემსახურება. მისი
ფუნჯი და კალამი სიმართლით,
დახვეწილი გემოვნებით, ფე-
რისა და პოეტური სახის სილ-
რმით ესთეტიკურ სიამოვნებას
ანიჭებს ხელოვნების მოყვა-
რულთ. მაღალ ოსტატობასთან
შერწყმული აღმაფრენა და
ტექნიკა მხატვრის თავისებუ-
ლებაა. მრავალი პერსონაჟი-
რი, რესპუბლიკური, საკავში-
რო, თუ საზღვარგარეთული
გამოფენების მონაწილე შე-
მოქმედი ქალი ინტენსიურად
განაგრძობს მუშაობას ფერ-
წერასა და გრაფიკაში. მისი
კომპოზიციები ღრმა აზრით,
ემოციურობით, დინამიზმითა
და ქალური კდემამოსილებით
გამოირჩევიან.

ლია სვანიძე ამასთანავე
მშვენივრად მღერის. ოცდა-
ხუთი წლის მანძილზე იმუშავა
პედაგოგად. საინტერესო გაკ-
ვეთილებს ატარებდა სახვითს
ხელოვნებაში. გამოცემული
აქვს ლექსების წიგნი.


ლია სვანიძე






გრიგოლ ჩირინაშვილი

70



მედიის
გაზეთების



წლებულს გამოემყვინა „ხელოვნება“ გამოსცემს საქართველოს სსრ დამახორებული მხატვრის გრიგოლ ჩირინაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველ ალბომს.

ყველა ხელოვანს აქვს საყვარელი თემა, რომელიც ფიგურირებს მის შემოქმედებაში. გრიგოლ ჩირინაშვილისთვის თბილისის თემა ძირითადი. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ თბილისის შიდაღვანა მისი პირველი პერსონაჟური გამოფენა „ჩემი თბილისი და ფარისანი“, რომელიც 1988 წელს მოეწყო საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში. ამ გამოფენაზე წარმოდგენილ ნაშრომებში გამოკვეთა მხატვრის შემოქმედებითი კრედი, მისი დამოკიდებულება მშობლიური ქალაქისადმი, ხელოვნებისადმი, ხელოვანის ხედვისადმი, რაც შეიძლება ფარისანის სახეში სიმბოლურად გაეაზროთ.

გრიგოლ ჩირინაშვილმა 1948 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია მხატვარ-ფერწერის სპეციალიზით. ამავე წელს მუშაობდა დაწყო თბილისის სამხატვრო საწარმოებში. წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობს როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე, ხოლო მისი ნაშრომები მუდმივ ექსპოზიციებშია საქართველოს სსრ სახელმწიფო, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

1966 წელს საქართველოს სსრ დამახორებული მხატვრის მიზნების შემდეგ გრიგოლ ჩირინაშვილი მიემხრო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტის პედაგოგი, ხალაქ ანუამად, როგორც პროფესორი, განაგრძობს თავის მოღვაწეობას.

იგი ავტორია 1978 წელს ქ. გურჯაანში გახსნილი ომში დაღუპულთა მემორიალური კომპლექსის.

1987 წელს ტაიკოს საერთაშორისო სამხატვრო გამოფენაზე გრიგოლ ჩირინაშვილს ოქროს მედალი და საცელი მიწება.

მხატვრის მოღვაწეობა მხოლოდ ფერწერით როდი შემოიფარგლება. იგი აქტიურად მუშაობს როგორც მხატვარ-ილუსტრატორი, ისე მწიგნობრობის რესპუბლიკურ პერიოდულ ფურცლებში — „დილა“, „პიანერა“. გამოემყვინებთან — „საკადელი“, „ხელოვნება“, „სახაბთა მწერალი“. 1988 წელს გამოემყვინა „ხელოვნებაში“ ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით შედგენილი მხატვრის ალბომი „ამბავი შოთა რუსთაველისა“ ილუსტრაციების სახით გამოსცა.



94935340
94935340





„დროშის“ ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა ახალგაზრდა მხატვარ-მოდელიერ ეკა გოცირიძეს. ეკამ შარშან დამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტი (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ზახტაძე).

იგი, როგორც კოსტიუმების მხატვარი, ჭერ კიდევ სწავლის პერიოდში მონაწილეობდა ისეთი სტუდენტური ფილმების შექმნაში, როგორიცაა „იმპროვიზაცია“, „დივერტისმენტი“, ფილმ-ბალეტი „პორგი და ბესი“ (ამ სურათს ამჟამად იღებენ).

ეკა გოცირიძე ფირმა „ახალგაზრდულის“ თანამშრომელია.

ჩვენი უურნალის ფურცლებზე მკითხველებს ვთავაზობთ მის მოსაზრებებსა და ახალ მოდელებს ქალებისათვის:

— თანამედროვე მოდა თავისი ნაირსახეობით მეტად მრავალფეროვანია და, როგორც არასდროს წარსულში, გვაძლევს თავისუფალი არჩევანის დიდ შესაძლებლობას. ის კარგად უხამება თანამედროვე ცხოვრებას და ისე კატეგორიული არ არის, როგორც, მაგალითად, გახული საუკუნის მოდა მისი მართლაცდა მოხდენილი, მაგრამ ნამდვილად ძალიან მჭიდროდ შემოჭერილი კორსეტებით.

ვისაც განსაკუთრებით უყვარს მოდურად ჩაცმა. ალბათ დამეთანხმება, რომ მაღალი და ტანადი გოგონები კარგად გამოიყურებიან ვიწრო, მოკლე ქვედა ბოლოებში, რომელიც შეხამებულია არა მსუბუქ და თხელძირიან „ნავებთან“, არამედ უფრო სქელძირიან და გარეგნულად მძიმე ფეხსაცმელთან, ან კიდევ მოკლე შუკეტსა, ვიწრო იუბკასა და განიერ ქაშრებში.

სამწუხაროდ, ყველა ქალი როდია ისეთი ტანადი, რომ თავს ნება მისცეს ასე ჩაიცვას, მაგრამ, დამეთანხმებით, მთავარია, ჩაიცვათ არა აუცილებლად მოდურად, არამედ, ღამაზად ისე, როგორც თქვენ მოგიხდებათ.

დღევანდელი მოდა სწორედ ამის საშუალებას იძლევა.

ქალებმა, რომლებსაც გამოყვანილი ტანი აქვთ, უმჯობესია ატარონ, მაგალითად, თხელი მაუდის ნაჭრისაგან ან რომელიმე სხვა შესაფერისი ქსოვილისაგან შეკერილი „კოსტუმჩიკი“ (წვრილი ზოლებით ან უჭრედებით). ასეთი „კოსტუმჩიკი“ შედგება გრძელი შუკეტისაგან, შევიწროვებული წელითა და ვიწრო, მოკლე ქვედა ტანით. შედარებით ტანსრულ-

სა და მსუქან ქალებს, ვურჩევ, ატარონ უფრო სრული ზედა ტანი, ან შუკეტი, თუმცა, ქვედა ბოლო შეიძლება ტანზე მომდგარი და ოდნავ მოკლეც იყოს.

ვირჩევთ, ყურადღება მიაქციოთ მრგვალ და არა განიერ სილუეტთან მხრებს. ქალაქში ჭერ კიდევ დანახავთ გოგონებს, ძალიან დიდი სამხრებით რომ დადიან. ამის წყალობით ისინი ზოგჯერ არც თუ მიმზიდველად გამოიყურებიან.

ახალგაზრდა ქალებს ვურჩევთ, შეიკერონ თუნდაც აქვე წარმოდგენილი „კოსტუმჩიკი“ მეზღვაურის ფორმის სტილში ზოლიანი ტრიკოტაჟის ქსოვილისაგან, ან ტრიკოტაჟის შუკეტები გრძელი, თავისუფალი ბოლო კაბით ან რეზინიანი ქვედა ბოლოთი. შეგიძლიათ შეარჩიოთ სასიამოვნო შეხამებები იისფერისა და ფირუზისფერის, ზურმუხტისფერისა და შავის, ასევე თეთრის, წითელის, ლურჯისა...

გარდა ამისა, შეგიძლიათ ატაროთ სრულიად განსხვავებული სტილის ტანსაცმელი, მაგრამ ისე კი, რომ სტილი არ დაირღვეს და აქსესუარები და ფეხსაცმელი სწორად, გემოვნებით ავსებდნენ ტანსაცმელს. მაშინ, დამერწმუნეთ, იქნებით ნამდვილად მოდურად ჩაცმული.

ოჯახური იდილია

დიდ კმაყოფილებას გვანიჭებს ის ფერტილო, რომელშიაც ფიგურების მრავალმეტყველი ჟესტები ცოცხალ სიტყვაზე უფრო ძლიერი ძალით გამოხატავენ ადამიანის ფიქრებსა და განწყობილებებს. ასეთია ირაკლი თოიძის „ილიჩის ნათურა“. იგი მიეძღვნა ზაპვისის სახეიმი განსნის დღეს.

სურათის სამი თაობის ცენტრში ოჯახის ახალგაზრდა დედა ზის. იგი ხელებით ატაცებულ თავის ყრმას ისე შექნარის, როგორც მარადისობასთან შეჯიბრებაში გამარჯვებულ ბედნიერებას. ბავშვის მამა, რომელსაც ზაპვისის მშენებლობაზე სახელი გაუთქვამს, სამუშაოზე მიიჩქარის, თანაც ბავშვს ალერსით ემშვიდობება და ზონარზე ჩამოკიდებული ნათურით ართობს. ბავშვი ამ უტვრო სანახაობას პირველად ხედავს და მისკენ ხელები გაუშვერია.

ეს სისპეტაკით აღსავსე განწყობილების გამოხატველი, ემოციების აღმძვრელი სანახაობა სამეფო ძოწისფერი საღებავებით კი არა, თითქოს დედის რძითაა შეფერილი. იგი „მოდარაჯე მხატვრის თვალთ“ დანახული ანგელოზის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბავშვის მამას სამუშაოზე ხალისით მიუწევს გული, მაგრამ ოჯახური მყუდროების ყრუანტელიანი სიხარულიც თან მიჰყვება. რა შეედრება ამ ოჯახში ცხოვრებას. აქ ხომ საზიარო ბედნიერებად ქცეული სისადავე და უბრალოება დიდსულოვან სათნოებასთანაა შერწყმული. ასეთი ოჯახი დასვენების, ძალ-ღონის აღდგენისა და სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელია.

აგერ ოჯახის ფუძემდებელი ბაბუაც. იგი მძიმე წარსულთან ბრძოლაში გადარჩენილ იმედსა და სიხარულს შვილთან და შვილიშვილთან ერთად ზეიმობს. ამ დარბაისელი მოხუცის ფიგურაში ვამჩნევთ, რომ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია და ეს მისი სახის ნაოჭებშიც აღბეჭდილია, თუ-

მცა ისე კი არა, რომ ქედუხრელი მოჭირნახულის სიამაყეს ჩრდილავდეს.

ეს მოხუცი, თავისი გამოცდილებითა და ავკარგიანობაში შეუმცდარი ინტუიციით რომ მიიკვლევს გზას, ოჯახის წევრთა დიდი მორიდებითა და ზრუნვით სარგებლობს. მისი ოდნავ ირონიული ღიმილი და ბავშვის აღტაცებაზე გადატანილი ხედვა, აცოცხლებს იმ ეპიზოდებს, რომელიც პატარაობისას მამის წინაშე თვითონვე განხუცდა. ამ ცელქი შვილისშვილის სურნელოვანმა ღიმილმა ბაბუას თავისი პატარაობის მიმქრალი შეგრძნებებიც განუახლა და თითქოს მისი ასაკიც მოხუცებულობიდან მოწიფულობისაკენ გადმოწია.

ბავშვს აქ ოჯახის ყველა წევრი ეალერსება. მათ ალალ გულისხმიერებაში მთავარია არა ფუჭი სანტიმენტალობა, არამედ ბავშვისადმი ზრუნვის ძალა.

ამ სურათს შეუძლია მწარედ დააფიქროს ის შვილები, თავიანთი გაუსაძლისი უხეშობით მშობლებს საკუთარი კერიდან რომ აძევებენ და მერე უპატრონოთა თავშესაფარშიაც აღარ ნახულობენ. აქაა ზნეობრივი და ესთეტიკური შემოქმედების ის ძალა, რომელსაც შეუძლია, შეატოკოს გულცივობა, შესძრას მასში მიმალული ლმობიერება და გააღვიძოს მშობლიური გრძნობები.

საანალიზო სურათში ვხედავთ, რომ ამ ოჯახში დაემხო მუშტის სამართალი და „მფარველი განგებისადმი“ უტყვი მორჩილების ბრმა რწმენა. აღარ ჩანს ქმართან კონფლიქტით გაწამებული დადარდიანებული და სახეჩამომხმარი ცოლი.

ოჯახურ ცხოვრებაში გადასაწყვეტი



პრობლემები მუდამ რთულდება და მატულობს. „ილიჩის ნათურის“ მიხედვით, რა არის მათგან მთავარი? ესაა სუსტისა და ძლიერის ურთიერთმერწყმა და მონაცვლეობა. ცნობილია, რომ ბავშვის სისუსტეს ანაზღაურებს მშობელი და ამ პროცესში ყოფილი სუსტი — ბავშვი, იზრდება და ძლიერდება მაშინ, როცა ყოფილი ძლიერი — მშობელი, ხუცდება და სუსტდება. და აი ამ უკანასკნელს ადრინდელი ამაგი შვილმა არ უნდა გაუწბილოს...

„ილიჩის ნათურაში“ ფერწერის მოთხოვნის შესაბამისად დალაგებული კომპოზიციები მიგვანიშნებს არამართო იმაზე, რომ მასში მოძრაობისათვის მზადაა ყველაფერი, არამედ იმაზეც, რომ ვიგრობოთ ის სითბო და სილამაზე, რომელსაც ოჯახური იდილია ქმნის.

დომენტი კილაძე.

გერონტი ქიქოძის წერილები

1944 წელი. ჩემი საზარუნავი მხოლოდ ევაკოვსპიტალში დაპირილთა ჯანმრთელობა და სოფელში მარტოხელად დარჩენილი ბებო.

შემოდგომის ერთ უფერულ დღეს რუსთაველის პარკისკენ ჩემი ძველი მეგობარი აკაკი გაწერელისა შემომხვდა. მარტო არ იყო, სახამაოვნო შესახებდაობის პიროვნება ახლდა. უცნობი გულთბილად გამომეხაუბრა და სინანულით მოიგონა მამაჩემი — მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილი.

ეს მომხიბლავი პიროვნება გერონტი ქიქოძე გახლდათ. მისმა ადამიანურმა სიბრძნემ განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა მაგრძობინა. ასაკით, პროფესიითა და მდგომარეობით ესოდენ განსხვავებულ ადამიანთან ნაცნობობა იმხანად ჩემთვის, მარტოხელა ადამიანისთვის, ცხოვრებისაკენ შემობრუნებას ნიშნავდა.

მან განმიხილავა ლიტერატურისა და პოეზიისადმი უსოფლო სიყვარული, რასაც ვერ ვღალატობ დღემდე.

მახსოვს ანა კალანდაძის პირველი გამობრწყინება — მის მიერ წაკითხული ლექსები მწერალთა სახლში და იმავე დღეს ჩემს ოჯახში გერონტი ქიქოძის, აკაკი გაწერელის, გიორგი ნადირაძის სტუმრობა. ანას ლექსებით გახარებულები აღფრთოვანებანა ვერ მაღავედნენ. ამ სიხარულის თანაზარი მეც გამხადეს — თან წამოვლოთ ანას ხელნაწერები და ჩემთან გაგრძელდა პოეზიის ის ზღაპრული საღამო.

ბატონი გერონტი მისთვის დამახასიათებელი მხრების მოძრაობით, ერთსა და იმავეს იმეორებდა: ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის თავზე გადამისვას ხელი...

მთელი ღამე ვიწერდი ანას ლექსებს. ჩემი საპატიო სტუმრები კი, იმ დროისათვის უკვე გაშინაურებულები ღარიბულ სუფრას უხსდნენ. მე დროდადრო ვებმინებოდი მათ ანას პქარებით და კვლავ ვისმენდი მათ აღტაცებულ შეძახილებს.

მახსენდება გამარჯვების სასიხარულო დღეები, სიმშვიდედაბრუნებული და იმედით აღვსილი ხალხი. იმ წლის ზაფხულში აღინიშნა ვაჟა-ფშაველას ხსოვნის დღე ჩარგალში.

ურბიცივი სტუმარი ეწვია მაშინ ჩარგალს. მე არავის ხეობაში, „ვაჟას წყაროს“ რომ ეძახიან, მუავე წყლებზე ვატარებდი ზაფხულს და რას დავაკლდებოდი ამ დიდებულ

დღეს, მით უფრო, გუმანით ვგრძობდი, რომ უქვეყნად შევხვდებოდი ჩემს მეგობრებს.

რაკი დრო აღარ ითმენდა, მაღაროსკარის ხილამდე ჩასვლას არავის ფეხით ვატოპვა ვარჩიე და პირდაპირ ჩარგლის კართან ვავჩნდი. ვაჟა-ფშაველას სახლ-კარს მივუახლოვდი თუ არა, თვალი მოვკარი ბატონ გერონტისა და ილო მოსაშვილს — ისინი გარემოს ათვალთვლებდნენ, ბატონმა გერონტემ გამაცნო ილო მოსაშვილი, რომელიც ტკბილად იგონებდა ჩარგალში ვატარებულ ბავშვობას (იგი ხომ აქ განსლდათ დაბადებულნი).

მოვიწახულოთ მათი ნასახლარი. მაშინ მან პირველად მაჩვენა ნადირა ქუმსიაშვილის — პაპაჩემის, ფშაველი ცნობილი მოკაფიავის ნაფუძარიც.

მიტინგის შემდეგ, კვიციხეას ფერდობზე, სიმღერა და ცეკვა წამოიწყეს. გიორგი ლეონიძემ, რომელიც იმ სამახსოვრო დღეს თავაკობდა, ახალგაზრდა ფშაველი შეაგულიანა, ნატო ვაჩნაძე აცეკვეო.

და აი, დაუფიწყარი სურათი: ზღაპრული ჩარგალის ხეობა და მოცეკვავე ნატო ვაჩნაძე. მეოცნებისა და ყოველივე მშვენიერის ქეშმარიტი დამფასებლის ბატონი გერონტის თავშეკავებული აღტაცება.

მოსალამოვდა. არავის ვადმა ვარ გასასვლელი. იქ, სახელდახლოდ შეკრულ ქოხში, ჩემი მეგობრები მელოდებინან.

ბატონმა გერონტემ მიმაცია არავის პირამდე. ვამჩნევდი, ლეღავდა. ცდილობდა, უკან დავებრუნებინე. მე კი არ ვიშლიდი. დავემშვიდობე. წავიყარე ხამლები და ჯოხის ბჯენით შევტოპე არავგვი. დროდადრო ვავხედავდი, ვებმინებოდი, ვამშვიდებდი.

...ლამის ნახევარი საუკუნე ვადის და მე ახლაც თვალწინ მიდგას იგი, მღელვარე და განცვიფრებული, რადიკნაირი უუქი რომ გადაჰფენია სიკეთით აღვსილ სახეზე.

ჩემთვის სამახსოვრო შეიქმნა ბატონი გერონტის ერთი ძვირფასი თვისება: უბრალოება, განუყოფელი უბრალოება და თავმდაბლობა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მთავრობამ დააჯილდოვა. მეც შევბედე და ღებუთი მივულოცე, უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ ღირსეულმა მიიღეთ მთავრობის უმაღლესი ჭილდო, ილდგარქმელეთ ჩვენი ერის სიამაყე და ნამდვილო მესვეურო-მეთქი, ვწერდით.

შეხვედრისას მადლობა გადამიხადა და თან გამომცდელი მოკრძალებით მკითხა:

— როდამ, ძვირფასო, რას გულისხმობთ თქვენ სიტყვა „მესვეურნი“?

და იხევ დაუფიწყარი პორტრეტი: მხრების ის ჩვეული რხევა და ფარულა ღიმილი, იშვიათად რომ გამოკრთებოდა ხოლმე მის სახეზე.

მე ვუპასუხე, რომ ამ სიტყვაში ვგულისხმობდი სამშობლოს მოკირნახულე, ამგადარ ადამიანს. მან ექ-

ვით შემომხედა და კვლავ შემეკითხა, და განა მე გამაჩნია ამდენი დამსახურებაო...

ღიან, ეს იშვიათი განძი — თავმდაბლობა და უბრალოება მას უხვად ჰქონდა მომადლებული განგებობაგან.

მკითხველს მინდა გავუზიარო იმ წერილების შინაარსიც, ძვირფას რელიქვიად რომაა შემონახული ჩემს პატარა არქივში. იღუშალი კეთილშობილებით აღსავსე ამ წერილებში ბევრია მეგობრული რჩევა და წამახალი-სებელი სტრქონიც.

როდესაც ჩვენი ერის რჩეულთა ხამარადისო ადგილსამყოფელს — დიდუბის პანთეონს ვეახლები, უპირველესად ბატონი გერონტი ქიქოძის განსახვედრებელთა შევჩერდები და ვიხსენებ ადამიანს, რომელთანაც ნაცნობობა და მეგობრობა მთელი სიცოცხლე სამაყოლ მაქვს შემორჩენილი, რომელმაც მასწავლა დაფასება და სიყვარული ყოველივე ლამაზისა და ამადლებულის, შემეყვარა ენა ჩემი და ერი ჩემი.

ძვირფასო როდამა,
გოგის და აკაკის ვთხოვე, თქვენთვის გადმოეცათ, რომ დღეს საღამოს 8 საათისათვის ჩემსას გელით. იქნებინან გოგი, აკაკი და გულნარა მამითურთ. გთხოვთ უსათუოდ მოხვიდეთ. მეგობრული საღამოთ.

თქვენი პატივისცემელი
გერონტი ქიქოძე.
15. XI. 1945.

ძვირფასო როდამა,
თქვენმა პატარა წერილმა, თქვენ მიერ გამოგზავნილმა მთის ყვავილების პატარა თაიგულმა დიდად მასიამოვნა: მე ისინი შევინახე ჩემს საწერ მაგიდაში, ჩემი ნაწარების გვერდით, რომელნიც სამწუხაროდ, ისე პოეტური არ არიან, რომ ასეთ მეზობლობას გაუძლონ.

თუმცა თბილსში ბოლო დროს ჩამოცხა, მაგრამ ჩვენ — თქვენს მეგობრებს — ცოტათი გვცვივა უთქვენოდ. არ ვიცი, შევძლებთ თუ არა სექტემბერში თქვენთან ამოსვლას, ძალიან კი გვინდა.

აკაკიმ, ტასომ, მანანამ გულთბილი საღამო მოგიძღვნეს. მე კი შორიდან ხელს ვართმევთ ნამდვილი მეგობრობის გრძნობით.

გერონტი ქიქოძე.
11. VII. 1946.

ძვირფასო როდამა,
არ ვიცოდი, რომ თქვენ მოსკოვში იმყოფებოდით. ხშირად, როდესაც თქვენი ბინის მახლობლად ჩავივლიდი, მე ვიგონებდი იმ იშვიათ, მაგრამ სა-

სიამოვნო წუთებს, რომელნიც თქვენს საზოგადოებაში ვამიტარებია და ვფიქრობდი ჩემს მომავალ შეხვედრებზე. თქვენს კი ასე შორს ყოფილხართ ჩვენგან!

ახლა, როდესაც ამ წერილს გწერთ, ჩემს ოთახში გაზაფხულის თბილი მზის სხივები ანათებს. ეს თითქმის პირველი სხივებია ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრის შემდეგ. ასე რომ თქვენი გულთბილი სიტყვები დაემთხვა დიდიხნის ნანატრი სეზონის დასაწყისს. და მე სიამოვნებით ვეთხოვები თბილ წინდებს, რომლებიც ჩემთვის ძვირფასია, იმტომ რომ თქვენ მაჩუქეთ.

მე ძალიან მიხარია, რომ თქვენ შეგიძლიათ მოსკოვში კარგ კონცერტებსა და წარმოდგენებს დაესწროთ, თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენსავით აღტაცებული არა ვარ „ცოცხალი ლეშით“ და „ანა კარენინათი“ (თქვენ ამას, ალბათ, ნამდვილ მკრეხელობად მიიღებთ). ძალიან კარგი იქნებოდა, რომ შესძლებდეთ „ახალი დასავლეთევროპული ხელოვნების გავლენის“ და „დრეზდენის მუზეუმის კოლექციის“ დათვალიერებას, მაგრამ ეს, მგონი, შეუძლებელია: პირველი დაკეტილია, ხოლო მეორეს მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით აჩვენებენ.

ასე თუ ისე, ძალიან კარგია, რომ თქვენ რამდენიმე თვით გამოირდით თბილისს და გაერთეთ. როდესაც მეცნიერებათა კანდიდატი გახდებით, ხოლო შემდეგ მედიცინის დოქტორი, ხომ არ აგვითვალისწინებთ ძველ მეგობრებს, უბრალო მოკვდავთ, რომელთაც თუმცა მეცნიერული ხარისხები არ ექნებათ, მაგრამ გულის სიღრმეში წრფელი და ნაზი გრძნობა შერჩებათ თქვენს მიმართ?

თქვენს მეგობარს ელოვნორა ექსანიშვილს დიდი პატივისცემით მოვიკითხავ, ხოლო თქვენ გაკოცებთ ხელზე და, თუ ნებას დამართავთ, თავზეც. თქვენი პატივისცემელი.

გერონტი ქიქოძე.

ეს წერილი დავასრულე, თარიღის დასმა მინდოდა — 14 აპრილი, და გამახსენდა, რომ ეს ჩემი სახელწოდების დღეა. მაგრამ ეს (პირველი აპრილი ძველი სტილით) მოტყუების დღეცაა. გასაოცარია, რომ ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე თითქმის არავინ მომიტყუებია, მე კი ხშირად მოვტყუებულვარ. მე არ ვნანობ: უკეთესია რაღაცა ილუზიები გქონდეს ადამიანებსა და სა-

გნებზე და ისინი გაგეფანტონ, ვიდრე ცხოვრება ფხიზლად გაატარო, ყოველი ილუზიის გარეშე...

ბ. ქ. 14. IV. 1949.

ძვირფასო როდამა,

თქვენი ფსევდონიმის გამოცნობა ჩემთვის ძნელი არ არის: ასე უბრალოდ და გულთბილად წერა ბევრს არ შეუძლია. თქვენ ღირსეული შვილი ხართ ჩვენი დიდი მომდევრისა, რომელიც არა მარტო დიდი ვოკალისტი, არამედ ნამდვილი პოეტიც იყო.

მე ყოველთვის დიდ სიამოვნებას მგვრის თქვენი წერილები, რომელთაც სამწუხაროდ იშვიათად ვღებულობ. დიდი სიამოვნებით ვიკითხებ აგრეთვე თქვენს შეხვედრებს მთაწმინდის პლატოზე, ჩარგალში, თქვენს ბინაზე, სადაც თქვენ ყოველთვის ასე გულუხვად უმასპინძლებდით თქვენს მეგობრებს.

მანანამ მითხრა, რომ თქვენ ჩემთან მოსვლას აპირებდით თურმე და მე მოუთმენლად გელოდით, მაგრამ მოლოდინი არ გამიმართლდა. შეიძლება გაგრიდან დაბრუნების შემდეგ მესტუმროთ. მოხვალთ მარტო თუ თქვენს ნაცნობებთან ერთად, სულ ერთია, თქვენთან შეხვედრა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იქნება. რაც შეეხება ჩემს წიგნებს, მე მათ დიდ მნიშვნელობას არ ვაწერ: მათი მთავარი დამსახურება ის იქნება, თუ მათი კითხვის დროს ჩემს მეგობრებს სურვილი დაებადებოდათ, მე გამომესაუბრონ.

წასულ კვირას შალვა ხიდაშელმა თავისი მანქანით საგურამოში წამიყვანა. თუმცა დროგამოშვებით წვიმდა, შემოდგომის წითელმა და ყვითელმა ფერებმა, რომელთაც ჯერ კიდევ მუქი მწვანე ებრძოდა, და საუცხოო ცისარტყელამ, რომელიც ილია ჭავჭავაძის ობელისკთან დაეინახეთ, ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ გულანდილად უნდა გითხრათ, ჩემთვის ყველა ამ ფერად მცენარეებზე და ცისარტყელაზე უფრო ძვირფასია ის პატარა გამხმარი ფოთლები, რომელნიც თქვენს ბარათში აღმოვაჩინე.

მიიღეთ ჩემი მეგობრული სალაპი და მუდამ დარწმუნებული იყავით ჩემს ერთგულებაში.

გერონტი ქიქოძე. 1. XI. 1954.

ერიკ აული

რუსისთვის

ყუმბარებით გადათხრილი ბარონიხეული მამულიდან შურდულის გახროლაზე მდებარეობს ძველი სახელაო. ბოლო დარჩაღვანე სიტყვა კოჭლმა უახაბმა მიქელმა წარმოთქვა, კაპიტულაციის დღეს მოკლული გერმანელი ოფიცერი რომ დამარხა. ქელები შეხანშნავი გამოვიდა. მიქელი ახალი საფლავის ბორცვზე წამოსუბდა და ერთი ბოთლი არაყი მარტოკამ გამოცალა. მერე წედ უწმარური სიღერები დააყოლა.

მას შემდეგ აწლოვანი ცაცხვების შრიალი და ხარაზ მატისის ჩაქურის კაქუნდა ისროდა სასაფლაოზე. ხარაზი იქვე, მეხაფლავის ქოხში ცხოვრობდა.

სოფლის დედაკაცებმა ხმა დაუარეს, დანგრეულ სახასლეში და ძველ სასაფლაოზე ღამამობით აჩრდილები იკრიბებინათ და ეს მატისიც, ცოტა არ იყოს, „თავში დარტყმულიაო“. და მანაც მუშტარზე არ ჩიოდა ხარაზი. ხან ისეც ხდებოდა, რომ მის დაკერებულ ფეხსაცმელს პატრონი შემაოცვდებოდა ხოლმე. სწორედ ასე დაემართა უახაბ მიქელს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მაკე ცხენმა გათელა.

ნოემბრის ქარიანი დღე იდგა. ხარაზის ქოხთან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩამოხტა ცხენიდან.

— გამარჯობა, ოსტატო, — მიესალმა მატისი.

— ჰმ, ჰმ, ჰმ, — ამოიღუღუნა მოხუცმა, რაც აღბათ, საღმის პასუხიც იყო და შინ შეპატიჟებასაც ნიშნავდა. თავმჯდომარემ გაძვალტყავებულ მხარზე ქარდაკრული ხელი დაადო და ჰკითხა:

— მატის, ერთი მითხარი, მაჩვივით როდემდე უნდა იქდე ამ სოროში? წამო, სოფლის შუაგულში იცხოვრე. კარგ ბინას მოგცემ, ორ შეგირდს მოგაბარებ და კოლმეურნეობასაც თავისი სახელისონო ექნება. სხვა თუ არაფერი, ამ მიყრუებულ კუთხეში მახალის მოტანაც კი ჭირს.

მატისმა ჰალარა ფაფარი შეარხია. ხარკმლიდან გახედა გოლიათ ცაცხვებს, ქარი რომ აშრიალებდა, და თქვა:

— გესმის, ზღვასავით როგორ დღეიან...

მრავალსიტყვაობა ხაერთოდ არ უყვარდა. ჩაქურმა გააგრძელა კაქუნა.

თავმჯდომარემ დიდხანს ათვალთვრა თამბაქოს კვამლით გაბოლილი კედლები, ბუზებისაგან დაბინძურებული მინები და ამოიოხრა.

— შენც კარგად ხედავ, რომ აქ ცხოვრება არ შეიძლება. იქ კი თბილი ბინა გექნება. მაგ შენს რევმატიზმიან ძვლებსაც, მე შგონია, სითბო

სჭირდება.

— ჰმ, ჰმ, ჰმ, ნუ მიხედე, — ჩაიდუღუნა მოხუცმა და ტურები მაგრად მოკუნა, ლურსმნები არ დამეფანტოსო.

თავმჯდომარემ კარი რომ გაიხურა და მერე მისი იორღას ფეხის ხმაც მიწყდა, მოხუცმა მუჯღუგუნით გამოაღვია მიუნაპუენი:

— მიუნაპუენ, გაიგონე, რა თქვა? შეგირდებს მოგცემო! ჰმ, განა ახლანდელ ქელებს ლანჩისა გაეგებათ რამე? ჩემს ბიჭებს ხელობის სწავლება რომ დავუბრე, მაშინვე ზღვისაკენ მოკურცხლეს. მერე მე რა, სიკეთე დამეყარა? აღარც ერთი ვაფი აღარ მყავს მოხუცს. ახლა მათ ლანჩებს თევზები სწიწნიან. რას იზამ, ომი...

გადარუებულმა მიუნაპუენმა ერთი კი ამოიღრინა და თავი იხევი იატაკზე დადო, რასაც, ვინ იცის, რამდენი ხანი იქნება, სველი ტილო აღარ მოხვედრია. ხარკმლის გადაღმა კი ზღვასავით ხმაურობდა მალაი ცაცხვები.

— ეჰ, უფროსო, უფროსო, — ლულულუღებდა მოხუცი.

შარშან პიონერები გამოგზავნა სოფლის თავკაცს. მთელი რაზმი მოვიდა. სათლები, ტილო და იატაკის ჭარბისები მოიტანეს თან.

— გამარჯობა, ძია მატის, — აყივყივდნენ ბავშვები. — იატაკის მოსარეცხად მოვედით.

— არ გინდათ, ჩუსტები დაგიკეროთ? — ჰკითხა მოხუცმა. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

— არა?

— აარა, — მიუგო ყველაზე გაბედულმა.

მატისი წამოდგა და კარი გამოაღო.

— აი, იქ, იმ ზეგებთან, მარწყვი უნდა იყოს. აბა, ვინ წინა და ვინ უკანა!

ბავშვები ფხოპაღლეით გაცვივდნენ. ხარაზი მარტო დარჩა და დიდხანს ახველა.

ერთხელ იყო და ერთი ვიღაც უბელი მოვიდა ქოხში და მოხუცს რა აბლაუბდის მოხმენა არ მოუხდა.

— შენ რაო, ბარონის სამლოცველოს ყარაული ხომ არა ხარო? მა! ან იქნებ ღამამობით საფლავებს თხრი და ოქროულს იღებო?

მოხუცმა პასუხიც არ აღირხა. გასანთლული ძაფი უფრო მაგრად გაუყარა დახეულ ფეხსაცმელს. აბა, საქმე კი არ გამოლოდა მატისს!

იმ ხალამოს კი რაღაც ხალისიანად იგრძნო თავი. გარეთ კოკისპირულად წვიმდა. ქარი ზუზუნებდა ქოხში. იქვე კი დუმელს გაჰქონდა დუღუნის და მოხუცი კარგ ჯუნებაზე დადგა. პატარა რადიოდან, ვიღაც ქალმა გახა-

მრჩელოში რომ დაუტოვა, მუსიკა იღვრებოდა.

— დღეს რომ თავმჯდომარე გავხდებოდა, ამაზე რას იტყვი, მიუნაპუენ? — ძალღმა მხოლოდ დასაწყისი აახამხამა.

— ჭერჭერობით არხად წავალთ, — მტკიცედ თქვა მოხუცმა. — იძინე ტკბილად!

ჩაქურმა კაქუნი გააგრძელა.

ხარაზმა წინსაფარი რომ მოიძრო და გარეთ გავიდა, შუალამე უკვე გადასულიყო და წვიმასაც გადაეღო. მთვარე დამალოხანას ეთამაშებოდა ღრუბლებს, ქარი კი ნანას ეუხეხებოდა ცაცხვებს. მოხუცმა სასაფლაოს გახედა, თეთრად მოჩანდა ბარონიხეული სამლოცველო. ჰალარა ფაფარი უანახავით აუბინინდა მატისს.

შინ რომ შებრუნდა, სინათლემ მოხურა თვალი და ძალღს შემთხვევით დაადგა ფეხი კედლე. ძალღი არც კი განძრეულა.

— მიუნაპუენ, ეს რას მივაწეროთ, რომ ერთი სიტყვაც არ მითხარი?

ცაცხვების შრიალი ისევ გაისმა ჩაქურის კაქუნი. მატისი ახლა კუბოს უკეთებდა მიუნაპუენს.

გათენებისას, მთვარე რომ ხარკმლებს ემშვიდობებოდა, კუბო უკვე მზად იყო. მოხუცმა მიუნაპუენი ჩააწვინა შიგ და უთხრა:

— იძინე მშვიდად, მიუნაპუენ.

მატისმა სახურავი დააჭედა კუბოს, ჩული წამოიხსნა და ფარანი აანთო.

— იქნებ მღვდლის გარეშე გავახერხოთ რამე? — ჩაიჭიქილა მოხუცმა. ბარი აიღო და ქოხის კარი გაიხურა.

სეტყვამ წამოაყარა და რაკარუკი აუყენა კუბოს. მატისმა ჩამოგვრეულ გულავანს გადააღწა და სამლოცველოსკენ გასწია. მოთამაშებული ჭრები მოჩანდა შუქზე. ილიაში ამოჩრდილი კუბო მარმარილოს ფილებს ედებოდა წამდაუწუმ და სახარელ ხმას გამოსცემდა. სამლოცველოს კარი, ერთადერთ ანჭამაზე რომ ეკიდა, მხრით შეაღო მატისმა. მისმა აჩრდილმა უწარმაწარ დამურასავით დაიწყო ბორბალი კედლებზე.

— ბარონო, — საფლავში ჩასახა მოხუცმა და ხველა აუფარდა. — ბარონო, — როგორც იქნა, სული მოითქვა. — შენ მოკალი მამაჩემი და ძალღვით ჩაფალი მიწაში. შენმა შვილმა კი აქ მოიკლა თავი. კოჭლმა მიქელმა დამარხა იგი და სიხარულისაგან ერთი ბოთლი არაყი გამოცალა. უკანასკნელი თულფი ახლა მე მიკავია ხელში. ჩემს ძალღს ბარონივით დავახაფლავებ შენ გვერდით. ზედავ, რა უბრალოდ გაგისწორე ანგარიში?..

მეორე დღეს კანტორაში რომ ნახეს ხარაზი, ყველას გაუკვირდა. კოლმეურნეობის დაარსების მერე აქ აღარავის ენახა.

— უფროსო, — თავმჯდომარესთან მივიდა მატისი. — ხომ არ დავაწიწყდება, შუაგულ სოფელში სახელისონს რომ მიირღებოდი? ბარონთან უკვე მოვრჩი ბანქოს თამაშს...

ლატვიურიდან თარგმნა უზანგ სახლთსუციუშილმა.

ქ

ანტორის მოსამსახურესავით თავმდაბალი და უენო კაცი ქვეყანაზე არ არსებობს. აბა, ერთი სცადე და მუშას შეუბღვირე, მაშინვე გიპასუხებს. ტვირთ-მზიდავს რომ გაუწყრე, ცხვირწინ დაგიყრის ბარგს და მიგატოვებს. აბა, შეურაცხყოფა მიაყენე მათხოვარს — მაშინვე გაგაწითლებს. სახედარი რომ სახედარია, ისიც კი, დიდხანს თუ ურტყი, წიხლებს მოგაყრის. კანტორის მოსამსახურეს კი, უყვირე, გალანძლე, სცემე, შეურაცხე — უსიტყვოდ გადაიტანს ყველაფერს. იგი სიკეთის, მოთმინებისა და ერთგულების განსახიერებაა და, მიუხედავად ამისა, ბედი მაინც არ სწყალობს. ბაბუს (დაბალი თანამდებობის მოსამსახურე) ერთფეროვან ცხოვრებაში არაფერი იცვლება. წყვილიადით მოცულ მის სიცოცხლეში სინათლის ერთი სხივიც სანატრელია. მისი ტუჩები ღიმილს გადასჩვევიან. აი, ერთ-ერთი ასეთი უთქმელი და საცოდავი ადამიანი იყო ლალა ფატეს ჩანდი.

ფატეს ჩანდი „გამარჯვების მთვარეს“ ნიშნავს. მაგრამ ამ კაცისათვის რომ შეგეხება, იტყოდი, უიღბლობის მონა არისო. სამსახურმა არ გაუმართლა, საკუთარი ცხოვრება ვერ მოაწყო, მეგობრობაც არ გამოუღიოდა. ვაჟიშვილი არ ჰყავდა, სამაგიეროდ სამი ქალიშვილი შეეძინა. ძმაც არ ჰყავდა. ჰყავდა ორი ცოლისდა. ფულისა კი რა მოგახსენოთ — არც ერთი გროში ჯიბეში.

ბუნებით კეთილი იყო, ყველაფერზე გული შესტიოდა. ასეთ კაცს კი ადვილად ჩაგრავს ყველა. ვერც ჯანმრთელობით დაიკვებნიდა. ოცდათორმეტი წლისა უკვე ჭალარა გახლდათ. თვალები დანადგლიანებოდა, ფერმკრთალ სახეზე ყბები ჩასცვენოდა, მხრებში მოხრილიყო, მკლავებში ძალა გამოლეოდა. ვაჟკაცობისა არაფერი ემჩნეოდა. ყოველ დილას სრულ ცხრა საათზე კანტორაში გამოცხადდებოდა, სალამოს ექვსზე კი სახლში ბრუნდებოდა. მუშაობისაგან დაქანცული, ფეხზე ძლივს იდგა. არსად არ დადიოდა. სახლსა და კანტორას იქით რა ხდებოდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა. დღევანდელსა და ხვალისდელს, სამოთხესა და ჯოჯოხეთს მისთვის ამ კანტორაში მოეყარა თავი. ღმერთი არა სწამდა; არც გართობით იყო დაინტერესებული. მგონი არც კი ახსოვდა, ოდესღაც ქალაქს რომ თამაშობდა.

ზამთარი იდგა. ცა ვაცრეცილ ღრუბლებით მობურთულიყო. ექვსის ნახევარზე, როცა ლალა ფატეს ჩანდი სამსახურიდან დაბრუნდა, სახლში უკვე აენთოთ სანთლები. როგორც ყოველთვის, ნახევარი საათით ბნელ ოთახში დასასვენებლად წამოწვა, ჭამის თავიც აღარ ჰქონდა. უცებ სახლის წინ ხმაური ატყდა. ვიღაცა ხმაილა იძა-



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ხოდა მის სახელს. ამბის გასაგებად ლალა ფატეს ჩანდის უმცროსი ქალიშვილი გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ შემობრუნდა და თქვა, კანტორის შიკრიკია მოსულიო. ჩანდის ცოლი ჭურჭელს რეცხავდა.

— გოგო, ჰკითხე ერთი რა უნდა, — თქვა მან, — მამაშენი ეს წუთია დაბრუნდა კანტორიდან, ახლა რაღა საქმე აქვთ მასთან?

— საპიბი (ბატონი) ეძახის, ძალიან მჭირდებაო! — უპასუხა შიკრიკმა.

ლალა ფატეს ჩანდი თვლემისაგან გამოერკვა. თავი წამოსწია და იკითხა:

- ვინ არის?
- ჩაპრასია (შიკრიკი) კანტორიდან.
- ჩაპრასი? რა მინდაო? ნუთუ საპიბი მეძახის?!
- დიას, ასეა. ძალიან მჭირდებაო. უც-

ნაური კაცია შენი საპიბი, უშენოდ წუთი ვერ გაუძლია? მთელი დღე იმ დასაწვავში არ იყავი? შეუთვალე, რომ არ შეგიძლია მისვლა, რა უნდა გიყოს? სამსახურიდან გამოგაგდებ? მაგაზე მეტი სადარდებელი ნუ მოგცეს ღმერთმა!

ფატეხ ჩანდი თითქოს საკუთარ თავს ჩაეკითხაო, წაიბუზღუნა:

— მე მგონი, რომ ყველაფერი რიგზე მაქვს. რა უნდა? საკვირველია, — მერე სახლის წინ გაჩერებულ ჩაბრასის გასძახა, ახლავე გამოვალო და ძლივსძლივობით წამოვდგა.

— ჯერ ჰამე, თორემ იქ გააბამ მასლათს და ყველაფერი დაგაფიწყდება, — უთხრა შანდამ.

ფატეხ ჩანდი ისევ წამოწოლას აპირებდა, რომ ცოლმა ცერცვის ფაფით სავესე თეფში შემოიტანა. საჭმლის დანახვაზე კვლავ წამოჯდა, რამდენიმე ხანს უსიტყვოდ იჯდა და დამშეული თვალებით შესცქეროდა საჭმელს. მერე იკითხა:

— ბავშვებმა ჰამეს?

შანდამ, თითქოს მოელოდაო ქმრისაგან ამ შეკითხვას, გულმოსულმა წამოიძახა: ჰამეს, ჰამეს! თავთავის წილი ყველას ერგო. ეს კი შენია!

ამ დროს ოთახში საიდანღაც გაჩნდა ფატეხ ჩანდის უმცროსი ქალიშვილი. მამისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით აიტუხა. ჩანდამ ისე გახედა ბავშვს, თითქოს შეჭმას უპირებდა.

— რა გინდა აქ? — დაუყვირა, — გასწი, ქუჩაში ითამაშე!

— ნუ უყვირი ბავშვს, შეაშინებ, — უთხრა ფატეხ ჩანდმა ცოლს და ბავშვს დაუძახა:

— ჩანი, მოდი აქ, გვერდზე მომიჯექი, აპა, ჰამე!

მაგრამ შეშინებულმა ჩანიმ დედას ერთი კი გადახედა და ოთახიდან გაეარდა.

— იჩქარე, ბაბუჯი (პატივცემულო ბაბუ), დრო აღარ იცდის.

— დარჩი და შეუთვალე, ვერ მოვდივარ-თქო! — თქვა შანდამ.

— როგორ შემიძლია, ლუქმა გამოგვეცლებო პირიდან.

— ო, როგორ გაწამებს, სიკვდილის პირამდე მიყავხარ, სარკეში ჩაიხედე, მიცვლებულს გაეხარ.

ფატეხ ჩანდმა ამასობაში რამდენიმე კოვზი ფაფა გადასანსლა, ზედ ჰიქა წყალი დააყოლა და ქუჩას მიაშურა.

— დაგვიანდა ბაბუჯი, — უთხრა ჩაბრასიმ, ახლა ირბინე, თუ არა საპიბი ისე მოგდგება სალანძღავად, შენს ლაპარაკს ყურსაც არ ათხოვებს.

ფატეხ ჩანდმა ერთხანს სირბილიც სცადა, გაუჭირდა, სუნთქვა ვეღარ შესძლო და გაჩერდა.

— არ დავექებ, მლანძლოს რამდენიც მოესურვება, მეტი აღარ შემიძლია. სად გველოდება, კანტორაში თუ სახლში?

— კანტორაში რა უნდა? — უთხრა ჩაბრასიმ.

ჩაბრასის ჩვეულებად ჰქონდა სწრაფი სიარული, ფატეხ ჩანდი კი ამას დიდი ხანია გადაჩვეულიყო. მაგრამ როგორ გაუცხადოს? სიამაყე მას ამის თქმის უფლებას არ აძლევდა. შეეცადა, ფეხდაფეხ მიჰყლოდა, მაგრამ ვეღარ შესძლო. გულთან ჩხვლეტდა, სუნთქვა უჭირდა, თვალთ დაუბნელოდა, უეცრივ თავბრუს დაეხვებოდა, მთლად ოფლში ცურავდა. თვალწინ ცეცხლოვანი რგოლები ათამაშდნენ, ხოლო

ჩაბრასიმ უხეშად გამოსძახა: — იჩქარე, ბაბუჯი, რა კუსავით მოაბიჯებ!

ფატეხ ჩანდმა გაჭირვებით წარმოსთქვა:

— წადი და გადაეცი, რომ ახლავე მოვალ!

ქვაფენილზე ჩამოჯდა. თავზე ხელები შემოიღო, მძიმედ სუნთქავდა, ჩაბრასიმ არაფერი თქვა, ერთი კი შეხედა და წავიდა. ფატეხ ჩანდმა შიშით გაიფიქრა, ვინ იცის, ამ ეშმაკის კერძმა რეები უთხრას ინგლისელსო. ძლივს წამოვდგა და კვლავ განაგრძო გზა. ისეთი ღონემისილი იყო, რომ ბავშვიც კი მოერეოდა. ეცემოდა, მაგრამ მაინც მიდიოდა, ბოლოს საპიბის სახლამდეც მიადგინა.

საპიბი განიერი ნაბიჯებით მიმოდიოდა აივანზე და წამაღუწუმ ჰიშკრისკენ იხედებოდა. გული მოსდიოდა, რომ არავინ ჩანდა. გამოჩნდა თუ არა ჩაბრასი, საპიბმა ხმამაღლა შეჰყვირა:

— სად ეგდებ ამდენ ხანს?

ჩაბრასი აივნის კიბის საფეხურზე იდგა.

— ბატონო, დიდხანს მალოდინა, ვერ დავუცადე და აი მოვედი. მთელი გზა ვირბინე.

— რა გითხრა? — ენის ბორძიკით იკითხა საპიბმა.

— ახლავე მოვა, მთელი საათი ველოდე, ძლივს გამოაღწია სახლიდან.

ამ დროს საპიბის დიდ ეზოში ფრთხილად შემოაბიჯა ფატეხ ჩანდმა, საპიბთან მივიდა და თავი მდაბლად დაუქრა.

— ამდენ ხანს სად იყავი?! — დაიღრიალა საპიბმა.

ფატეხ ჩანდმა ბატონს შეხედა და ჰიქრის ოფლმა დაასხა.

— ბატონო, ნახევარი საათი არც კი იქნება, რაც სახლში მივედი, მაგრამ რა წუთშიც დამიძახეთ, მაშინვე ყველაფერი მივატოვე და თქვენკენ გამოვწვიე.

— ტყუი, მთელი საათია გელოდები!

— ბატონო, არ ვტყუი. იქნებ გზას მოგუნდი ამდენ ხანს. თავს ცუდათა ვგრძნობ და... ისე კი მითხრეს თუ არა, მაშინვე წამოვედი.

საპიბმა ჯოხი ხელში შემართა, ეტყობოდა, მთვრალი იყო:

— გაჩუმდი, შე ღორო. საათზე მეტია გელოდები. ახლავე ყურებში წაივლე ხელი და ისე ითხოვე პატივება.

ფატეხ ჩანდმა დაგუბებული ბოღმა გადაყლაპა:

— საპიბ, მთელი დღე ვმუშაობ კანტორაში. ათ საათს განუწყვეტილად, უფრო მეტსაც, მე ხომ არასოდეს...

— არ გამაგონო-მეთქი, ღორო, აბა ყურებში წაივლე ხელი!

— მე არაფერი დამიშავებია!

— ჩაბრას, აბა ერთი ეს ღორი ყურებით ათრიე, — იღრიალა სიმთვრალით გაშმაგებულმა ინგლისელმა.

ჩაბრასიმ მშვიდად, მაგრამ გადაჭრით უპასუხა:

— ბატონო, ეს კაცი ხომ ჩემზე უფროსია, მე როგორ გავებდავ, იგი ყურებით ვათრიო!

— ათრიე-მეთქი, გიმეორებ... არადა თვითონ მოგხვდებოდა!

ჩაბრასიმ უპასუხა:

— ბატონო, მე თქვენთან სამუშაოდ ვარ და არა იმისთვის, რომ მცემონ. ჩემი დამცირების უფლებას არავის მივცემ, ყოველგვარ ბრძანებას შეგუსრულებ ბატონს, მაგრამ კაცის დამცირება ჩემი საქმე როდია, თუნდაც გამაგლო. დღეს აქა ვარ და

ხვალ ვინ იცის, სად ვიქნები, სამსახურისთვის კი ვერავის მოვიმდურებ.

გაბრაზებული საპიბი მივარდა ჩაბრასის. ჩაბრასი მიხვდა, რომ სხვა გზა არ იყო და თავს გაქცევით უშვებდა.

ფატეხ ჩანდი იდგა უსიტყვოდ, თითქოს გაქვავებულიყო. როცა საპიბმა დაინახა, რომ ჩაბრასის ვერ დაეწვოდა, ფატეხ ჩანდს მივარდა, ხელები ყურებში სტაცა და მთელი ძალით მოსწია:

— ღორო, უნამუსო, არ გამიგონე ხომ? წადი და საქალაღე მომიტანე კანტორიდან!

— რომელი საქალაღე, საპიბ? რომელი საქალაღე გჭირდება?

ფატეხ ჩანდი ახლა უკვე აღაშფოთა ამ კაცის საქციელი. იგი ვერ მიმხვდარიყო, რას მოითხოვდა მისგან ინგლისელი, მაგრამ კვლავ შეკითხვასაც ვერ ბედავდა. ისედაც, როცა საპიბი ჩვეულებრივ გაბრაზდებოდა ხოლმე, არავის ინდობდა. ახლა მთვრალიც იყო. მთვრალი და თავისი ძალაუფლებით თავბრუდამსხმული. იქნებ რა მოსვლოდა თავში, ამიტომ იყო, რომ ფატეხ ჩანდი დაემორჩილა და კარისკენ გაბრუნდა.

— სირბილით! — უბრძანა საპიბმა.

— სირბილს ვერ შევძლებ, ბატონო, — მიუგო ფატეხ ჩანდმა.

— არ შეგიძლია? სიზარმაცე მოგერია? მე შენ გასწავლი... ახლავე გასწი-მეთქი! სირბილით, სირბილით, გეცმის? — და ჩანდს ინგლისელის პანლური მოხვდა.

ფატეხ ჩანდი, მართალია, კანტორის მოსამსახურეა, მაგრამ მაინც ხომ ადამიანია? სულ ცოტა ძალა რომ ჰქონოდა, განა ასეთ დამცირებას აიტანდა ამ ლოთისაგან, მაგრამ ძალა რომ არა ჰქონდა? იგი ეზოდან გავიდა.

ფატეხ ჩანდი კანტორაში არ წასულა. საპიბმა არც კი უთხრა, რომელი საქალაღე უნდა მოეტანა. მთვრალს იქნებ ეგონა, რომ არც კია საჭირო ამის განმარტება, თვითონ უნდა მიხვდესო. ფატეხ ჩანდი კი სახლისკენ მილასლასებდა, მოულოდნელმა სირცხვილმა და გულსტკივილმა თითქო მძიმე ბორკილები დაადგო, ფეხები გაუკავა. რა თქმა უნდა, საპიბი ბევრად ძლიერი იყო მასზე, მაგრამ განა შეიძლება ასე უსიტყვოდ ყველაფრის ატანა? რამე მაინც ეთქვა, შეპასუხებოდა, გული მაინც ეჯერებინა, ფეხსაცმელი გაეძრო და მიეფეთებინა სახეში.

— არა, არ იყო საჭირო, გადაწყვიტა ფატეხ ჩანდმა. ინგლისელს შეეძლო, იგი მოეკლა კიდეც. ამაზე მას არავინ არაფერს ეტყოდა. უკიდურეს შემთხვევაში ორი თვის პატიმრობა ან კიდევ ჯარიმა. ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. ფატეხ ჩანდის ოჯახისთვის კი ეს აღსასრული იქნებოდა. ვის უნდა მოეგლო ბავშვებისათვის? ისინი ქუჩაში შიმშილით დაინოცებოდნენ. ღმერთო, რატომ არის ასე ღარიბი! სულ ცოტა ფული რომ ჰქონოდა, ასეთ მოპყრობას ხომ ვერ მოითმენდა, თუნდაც დაეხვრიტათ მერე. ოღონდ კი ესწავლებინა ჰკუთა ამ უზნეოსათვის და სიცოცხლე არ ენაღვლებოდა, მით უმეტეს, რა არის სახარბიელო მის სიცოცხლეში, მაგრამ ცოლი, შვილები?!

ფატეხ ჩანდი ქუჩაზე მიეხეტებოდა... რა ფიქრი არ მოსდიოდა თავში, დროზე უნდა მიეხედა საკუთარი განმრთელობისათვის. ახლა ღონე რომ ჰქონდეს... ისე

კი დანა კაცს ყოველთვის უნდა გეგულე-
ბოდეს ჯიბეში. სიფათში უნდა მეთხლიშა
საპიბისათვის, მაგრამ მსახურები? — მო-
მვარდებოდნენ და ცემით სულს ამომხდი-
დნენ... თუნცად ასე მომხდარიყო, ჯანდა-
ბასი სამაგიეროდ ყველა გაიგებდა, რომ
გამოჩნდა ვიღაცა, რომელსაც არაფრის
არ შეეშინდა და დაცვა საკუთარი უფ-
ლებები. კაცი კი, როცა იქნება, მაინც მო-
კვდება. ოჯახიც დაობლდება, მაგრამ ასე-
თი სიკვდილი საამაყო... ამ აზრმა ისე აღან-
თო ფატენ ჩანდი, რომ კვლავ მობრუნდა
საპიბის სახლისაკენ, რამდენიმე ნაბიჯი გა-
დადგა, მაგრამ მალე ჩაქრა მისი გადაწყვე-
ტილება. იფიქრა, საპიბი კვლავ კლუბშია
წასული. რაზე დავიტებო თავს უბედუ-
რება, განა რაც მოხდა, ეს არ კმარაო?

ის იყო ფენი შედგა ოთახში რომ
შანდა მაშინვე მივარდა და ჰკითხა:

— რა უნდოდა? რაზე გეძახოდა? რას
აკეთებდი ამდენ ხანს?

— მთვრალი იყო, — უპასუხა ფატენმა
და წამოწვა, — უწმინდური სიტყვებით
მლანძღა. მაინც ვერ მივხვდი, რას მოით-
ხოვდა. თუთიყუშივით ერთსა და იმავეს
იმეორებდა. რატომ დავივიანე, რატომ და-
ივივიანეო. მერე ჩაპრასის უბრძანა, ყურით
ათრიეო.

— კი მაგრამ, შენ რაღას უღეკი, ვერ
ჩასცხე ფეხსაცმელი? — მორთო ყვირი-
ლი ახლა უკვე გაბრუნებულმა შანდამ.

— ჩაპრასი კარგი კაცია, — განაგრძო-
ბდა ფატენ ჩანდი, — მან პირდაპირ ასე
უპასუხა: „პატივცემული ადამიანების შე-
ურაცხყოფის მისაყენებლად კი არ ვმსა-
ხურობ თქვენთანა“, მერე თავი დაუჭრა
და წავიდა.

— ყოჩაღ, კარგად მოქცეულა, კი მაგ-
რამ, შენ რაღას უღეკი?

— მე? მე? როგორ არა? მომვარდა თუ
არა ჯოხით, მაშინათვე ფეხსაცმელი გავი-
ძრე; ის ჯოხს მირტამს, მე ფეხსაცმელს
ვთავაზობ. ის ჯოხს, მე ფეხსაცმელს. ამ ამ-
ბავმა შანდა აღაფრთოვანა.

— არა, მართლა? ალბათ, კარგა მაგრად
დაალოლავე.

— იცოცხლე! სულ მტვერი ვადინე,
ჩვარივით ვაქციე.

— კარგად მოქცეულხარ. შენს ადგილზე
რომ ვყოფილიყავი, ცოცხალს არ გავუშ-
ვებდი.

— ჰკუა ვასწავლე. მაგრამ ახლა სულ
უბედურების მოლოდინში უნდა ვიყოთ.
არ ვიცი, რა დღეს დამაყრის. თავიდან
რომ მომიცილებს, მაგრამ ვაი თუ ესეც არ
მაკმაროს და ციხეში ჩამავლას.

— კი მაგრამ, რა უფლებით? განა სამა-
რთალი არ არსებობს ქვეყანაზე? თვითონ
შეურაცხყო, პირველმა მან დაგარტყა,
ასე არ არის?

— მერე ვინ დაიჭერებს მაგას. მოსამართ-
ლე მის მხარეზე იქნება.

— არაფერია, სამაგიეროდ ნახავ, ამის
შემდეგ ვერც ერთი ინგლისელი მოხელე
ველარ გაბედავს ასე ელაპარაკოს თავის
ხელქვეითებს.

— შეეძლო, მოვეკალი კიდევაც.

— რომ მოეკალი, თვითონვე მისცემდ-
ნენ სამართალში. როგორმე მოწმებდ-
ნენ მონახებოდნენ.

ფატენ ჩანდს მწარედ გაეღიმა:

— მერე შენ, ბავშვები?

— არაფერია, ღმერთთა მოწყალე, შიმ-
შილით არ დავიბოცებოდით, ადამიანის-
თვის მთავარი ის არის, თავმოყვარეობა

არ შეუღახონ. ლაჩარი კაცის აღზრდილი
შვილი რას მიქვია, ხომ სცემე, ასე, ახლა
მეამაყება შენი ცოლობა. შენ რომ ლაჩა-
რით მოქცეულიყავი, შემხადებოდი.
შეიძლება, არც არაფერი მეთქვა, მაგრამ
გულში კი სამუდამოდ დამეკარგებოდა-
შენდამი პატივისცემა.

შანდა მშვიდი ხმით კვლავ განაგრძო-
და:

— როგორი დასასრულიც არ უნდა ჰქო-
ნდეს ყოველივე ამას, მე სიხარულით შე-
ვეგებები, საით! სად მიდიხარ! მოიცადე!..

ფატენ ჩანდი სახლიდან შეშლილივით
გავარდა, შანდამ რაღაც მიამახა, მაგრამ
ფატენ ჩანდმა არ მოხედა. პირდაპირ სა-
პიბის სახლისაკენ გაემართა. ახლა უწინ-
დელივით ფეხის თრევიტ და შეშინებული
არ მიდიოდა. თავაწყული, სწრაფად მიაბი-
ჯებდა. ფრთაშესმული ახალი გადაწყვე-
ტილებით. ახლა საცოდავ, დამფრთხალ
კანტორის მოსამსახურეს კი არ ჰგავდა,
ძლიერი, გამბედავი და ენერგიით აღსავ-
სე მამაკაცი იყო. გზაზე ჯერ ერთ-ერთ
თავის მოკეთესთან შეიარა და იქედან
მსხვილი ჯოხი წამოიღო, მერე კი საპიბს
მიაშურა.

ცხრა საათს მიატანა. საპიბი სადილობ-
და, მსახურმა კერძი მიართვა და სამზარე-
ულოში გავიდა. ვიდრე იგი ჭამას მოათა-
ვებდა, ფატენ ჩანდმა ფარდა გადასწია და
ოთახში შევიდა. ოთახი გაჩირალდნებული
იყო ელექტროშუქით. იატაკზე ძვირფასი
ხალიჩები ეგო, რომ ფატენ ჩანდს ქორწი-
ნების დღეს არ დაუბიჯებია ასეთ ხა-
ლიჩაზე ფეხი. საპიბს მის დანახვაზე თვა-
ლები მრისხანებით აუელვარდა.

— გაეთრე აქედან. როგორ ბედავ უნე-
ბართვოდ შემოსვლას?

ფატენ ჩანდმა ჯოხი გამოაჩინა და თქვა:

— თქვენ საქალაღე ისურვეთ, აი, მო-
გიტანეთ, სადილს რომ მოათავებთ, გიჩ-
ვენებთ, მანამდე კი აქ დაგელოდებით. მი-
რთვით, ნუ იჩქარებთ, ადვილი შესაძლე-
ბელია, რომ ეს უქანასკნელი სადილობაც
იყოს თქვენნი!

საპიბი გაშეშდა. ფატენ ჩანდს მიაშ-
ტერდა. სახეზე ბრაზი მორეოდა. მაგრამ
შეშინებულიც იყო. ხედავდა, რომ კანტო-
რის მოსამსახურე საკუთარ თავს აღარ
ეკუთვნოდა. დავუშვით იგი ულონოა, მაგ-
რამ თუ კაცი გაცოფე, მაშინ ხუმრობა
სახიფათოა. ეს კი, როგორც ჩანს, არაფერს
მოერიდებოდა. შეშინდა, გაიფიქრა, დაბ-
მული ძაღლის ცემა უფრო ადვილია, აშ-
ვებულის კი ძნელი. სწორედ ასე დაემარ-
თა საპიბსაც ვიდრე ფატენ ჩანდი უჩუმ-
რად იტანდა ყოველგვარ დამცირებას, და
ცემასაც კი, არაფრისა ეშინოდა, მაგრამ
ახლა, როცა ორი ფეხის ნაბიჯზე წამოს-
დგომია და თვითოეულ მის მოძრაობას კა-
ტასავით უთვალთვალეს, საპიბმა გაყუ-
ჩება არჩია. იგი მიხვდა, საკმარისი იყო
ოდნავი საყვედური, რომ ჯოხი თავში მო-
ხვდებოდა, რასაკვირველია, შეიძლება ამ
კაცის სამსახურიდან გაგდება, ციხეში ჩა-
ვადებს კაცი, მაგრამ სკანდალსა და უსი-
ამოვნებას ვერ ასცდები. ამიტომ იყო,
რომ საპიბმა, როგორც შორსმჭვრეტელმა,
დიპლომატიური მოლაპარაკების გზას მი-
მართა:

— ბაბუ, მაინც არ მესმის, რატომ ხარ
გულმოსული? — საოცრად რბილად შე-
ეკითხა. — რისთვის მიწყრები, არ მეტ-
ყვი? რა გაწყენინე?

— ნახევარი საათის წინ ყურით მათ-
რით, ერთი ათჯერ მაინც მიწოდეთ უნა-
მუსო ღორი... ნუთუ ასე მალე დაივიწყეთ
ყველაფერი, საპიბ?!

— რაო? ყური აგიწიე? ხუმრობ, გიყი
ხომ არა ვარ?

— ჩაპრასია მოწმე. თქვენი მსახურებიც
დამემოწმებინა!

— მაინც როდის იყო ეს?

— ნახევარი საათის უკან, კაცი გამომი-
გზავნეთ, შემომითვალეთ, მოდიო, მოვე-
დი და ყურით მათრით, მცემეთ!

— მართლა? უყურე შენ, უნდა გამო-
გიტყდე, რომ მთვრალი ვიყავი, რას არ
ჩავადენინებს ეს ღვინო. არაფერი მახსოვს.
ნუთუ ყოველივე ამის ჩამდენი ვარ?

— ასეა არა? გამოდის, რომ რახან
მთვრალი იყავით, დამნაშავე არა ხართ.
რომ მოგეკალით, მაშინ? კეთილი, თუკი
მთვრალს ყველაფერი ეპატიება, ახალ მე
ვარ მთვრალი და ვიბრძანებთ: ყურებში
ხელები წაივლოთ და ისე მთხოვთ პატი-
ება, სიტყვა მომეცით, რომ აღარავის
მოექცევით ასე. არადა, მიიღებთ საკად-
რისს. სკამიდან აღვომა არ გაბელო, თო-
რემ თავს გაგიპობ. აბა, წაივლეთ ხელები
ყურებზე.

— ხუმრობ, ბაბუჯი, — თქვა საპიბმა და
ნაძალადეოდ გაიღიმა, — კეთილი, თუ
გაწყენინე, გთხოვ, მაპატიო!

— ყურებზე, ახლავე წაივლე ხელი ყუ-
რებზე-მეთქი! — უბრძანა ფატენ ჩანდმა
და ჯოხი მოიმარჯვა.

ასეთი დამცირება კი ველარ აიტანა ინ-
გლისელმა. შეეცადა, წამომდგარიყო და
ფატენ ჩანდისათვის ჯოხი წაერთმია, მაგ-
რამ ფატენ ჩანდი ფრთხილად იყო. საპი-
ბმა ვერ მოასწრო სკამიდან აღვომა, რომ
მთელი ძალით მოხვდა ჯოხი კეფაში. და-
რეტიანდა, წუთით გაიჩინდა, თავზე ხე-
ლები შემოიჭლო.

— მე შენ სამსახურიდან გავადგებ!

— გამაგდეთ! ჩემთვის სულ ერთია. მა-
გრამ აქედან მანამდე არ წავალ, სანამ
ყურებზე არ წაივლებ ხელს და არ დაი-
ფიცებთ, რომ არავის აღარ მოგპყრობით
ისე, როგორც დღეს მე მომეპყრობით. არა-
და ერთს კიდევ გითავაზებთ! — ფატენ
ჩანდმა ჯოხი დასარტყმელად მოიმარჯვა.

საპიბს ჯერაც აწუხებდა პირველი და-
რტყმით მიყენებული ტკივილები. მან მო-
ჩილებით წაივლო ყურებზე ხელი:

— რაო! ახლა კმაყოფილი ხარ?

— დაანებებ თუ არა თავს ლანძღვას?

— დავანებებ!

— იცოდეთ! თუ ვინმეს შეურაცხყოფა
გიფიქრიათ, მე აქ შეორედ მოსვლა არ და-
მეზარება.

— არავის არ გავლანძღავ, — ძლივძლი-
ვობით, ენის ბორძიკით წარმოსთქვა სა-
პიბმა.

— კეთილი, ახლა მშვიდობით. დღეიდან
მე თქვენთან აღარ ვმუშაობ. ხვალ ქა-
ლალს გამოგზავნი, იქ ეწერება, რომ
თქვენი უხეში საქციელის გამო ვტოვებ
სამსახურს.

— კი მაგრამ რატომ? მე ხომ არ გავ-
დებ?

— იმიტომ, რომ თვითონ არ მსურს მქო-
ნდეს საერთო ასეთ უხეშოსთან! უთხრა ეს
და ოთახიდან გავიდა; შეგებამოსილი საბლი-
საკენ გაეშურა. გრძობდა, რომ გაიმარ-
ჯვა, ახალ იგი თავისუფალი იყო.

ფატენ ჩანდი არასოდეს არ ყოფილა
ასეთი ბედნიერი!

თარგმნა გულნარა ბახტაძემ.



ინჰლანსტაცია-

გუჟინ, ლეს, ხვალ

თბილისში ჩატარებულ საკავშირო სემინარ-თათბირზე, „სტომატოლოგიური დახმარების გაუმჯობესების გზები რკინიგზის ტრანსპორტზე“, ძალიან შეფასება მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის ფიფიას სახელობის კლინიკურ საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანების ინჰლანტაციისა და კბილის პროტეზირების განყოფილების სპეციალისტთა ნაშრომმა.

— ჩვენი განყოფილება, — გვესაუბრება მისი გამგე თამაზ დოლიძე, — ჯერჯერობით ერთადერთია ამიერკავკასიაში. — ეს წამოწყება რთულ პირობებში იკაფავდა გზას. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი სტომატოლოგებმა ამ პრობლემის დამუშავება ნახევარი საუკუნის წინ დაიწყეს. ჩვენთან ახალი მეთოდი დაამუშავა კაუნასელმა ექიმმა ოლეგ სუროვმა. მან თავის სახსრებით შეიძინა ცხოველები ვივარიუმისათვის და დაიწყო ექსპერიმენტის ჩატარება. ლიტვის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში იგი მივიდა მდიდარი სამეცნიერო მასალით, მიიღო მხარდაჭერა და დაიწყო პრაქტიკული მოღვაწეობა.

ვიდრე მე და ჩემი თანამშრომლები განყოფილების შექმნას შევეუდგებოდით, რომელიც უკვე ორი წელიწადია არსებობს, ლექციების კურსი მოვისმინეთ კაუნასის სამედიცინო ინსტიტუტთან არსებულ ინჰლანტაციისა და კბილის პროტეზირების ლაბორატორიაში. რაში მდგომარეობს ჩვენი მეთოდის უპირატესობა?

უკანასკნელ დროს მკვეთრად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც სჭირდება სტომატოლოგის დახმარება. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი უმეტესობა ახალგაზრდა პაციენტები არიან. საყოველთაოდ ცნობილია, კბილის წყობის დეფექტი რა არასასურველ რეაქციას იწვევს ორგანიზმში. იმის ნაცვლად, რომ დროზე მიმართოს თერაპევტს, ზოგს ურჩევნია ქირურგის მომსახურება. გამოდის, რომ ბევრ ახალგაზრდას სჭირდება მოსახსნელი პროტეზირება, რასაც, ბუნებრივია, მოსდევს სერიოზული სულიერი ტრავმა. ინჰლანტაციის მეთოდი ხსნის ამ ტრავმას.

ჩვენსავე საავადმყოფოში ჩატარებულ ყოველმხრივი გამოკვლევის შემდგომ, პაციენტს

უკეთდება ოპერაცია, რომელიც მდგომარეობს ყბის ძვალში ტიტანისა ანუ კობალტ-ქრომის შენადნობიდან დამზადებულ ფირფიტა-ინჰლანტანტის ჩასმაში. ეს მომავალი უმოძრაო ხილური პროტეზის საფუძველია. ოპერაცია მიმდინარეობს ადგილობრივი ანესტეზიის ქვეშ, ე. ი. უსიამოვნო შეგრძნება პრაქტიკულად დაყვანილია ნულამდე. მთავარია, პაციენტი მომზადებული იყოს ფსიქოლოგიურად. 7-8 დღის შემდეგ ნაკერებს ეხსნით, ვუზომავთ დამზადებულ ხუფს და გვირგვინას. შემდეგ, შევართებთ მათ ლითონის ფუძით, და დაგვარავთ საჭირო ფერის პლასტმასით. ოპერაციის ჩატარების 18-20 დღის შემდეგ პაციენტი მიდის ჩვენთან და მას უკვე ახალი კბილები აქვს.

ინჰლანტაციის მეთოდი სულ უფრო და უფრო იმსახურებს აღიარებას რესპუბლიკაში. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ რიგში ეწერებიან დაახლოებით ორი წლით ადრე. მიზეზი გასაგებია. განყოფილებაში მხოლოდ ოთხი ექიმი და ამდენივე ტექნიკოსი. და, რაც მთავარია, არ არის იმედი იმისა, რომ უახლო-

ეს წლებში აქ მოვლენ ახალი სპეციალისტები. სამედიცინო ინსტიტუტში ეს საგანი არ ისწავლება. არადა, დროა, რომ კბილის ინჰლანტაცია ვალიართ მედიცინის დამოუკიდებელ დარგად.

— იცით თუ არა თქვენ, — განაგრძობს თამაზ დოლიძე, — რამდენი დრო სჭირდება ამერიკელ სტომატოლოგს იმისათვის, რომ გასცეს გამზადებული პროტეზი? 25 წუთი — ჩვენი ექიმებისათვის ფანტასტიკური ვადა. იმიტომ, რომ სათანადო ბაზა არ გავაჩნია — ყველაფერი ხელით კეთდება.

ახალი წამოწყების ინიციატორები სწორად აყენებენ საკითხს — განყოფილება, ისევე, როგორც ეს კაუნასში გადაწყვიტეს, თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტმა უნდა შეიკედლოს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პრაქტიკული საქმიანობა მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით წარიმართოს. აქ კი გადაწყვეტი სიტყვა საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს ეკუთვნის

მეა ახალკაცი

ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნის აზრი და მიმართულება გამოითქმება ფორმულით: მეტი სოციალიზმი, მეტი დემოკრატია.

ეს იმას ნიშნავს, რომ რასაც უკვე ვაკეთებთ და ვსახავთ, უნდა განამტკიცოს სოციალიზმი, აღმოფხვრას ყოველივე, რაც აფერხებს მის პროგრესს. არადა, რევოლუციური მოძღვრების მთელი არსი, მთელი ჩვენი უდიდესი გამოცდილება გვიჩვენებენ, რომ სოციალიზმის წარმოდგენა შეუძლებელია რაღაც გაქვავებული, უცვლელი საზოგადოების სახით, ხოლო მისი სრულყოფისათვის გაწეული პრაქტიკული მუშაობა — ისეთ ხერხად, რომ რთული სინამდვილე მოვარგოთ, ზუსტად შევუწყოთ სამუდამოდ ჩამოყალიბებულ იდეებს, ცნებებსა და ფორმულებს.

მართლაც, წარმოდგენები, თეორიები და შეხედულებები სოციალიზმზე, მის ეკონომიკაზე ნიადაგ ვითარდება და მდიდრდება სწორედ ისტორიული გამოცდილებისა და ობიექტური პირობების მიხედვით. ამიტომ დღენიდავ უნდა ვეუფლებოდეთ კონკრეტული სიტუაციის კონკრეტული ანალიზის ხელოვნებას.

ახლა სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში მთავარი საკითხია, როგორ შევქმნათ სოციალისტურ საფუძველზე კაპიტალიზმთან შედარებით უფრო მძლავრი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის სტიმულები, როგორ დაუყავშიროთ უფრო ეფექტიანად გეგმიანი ხელმძღვანელობა პიროვნებისა და კოლექტივის ინტერესებს.

ეს ყველაზე რთული საკითხია, მასზე პასუხს ეძებდა და ეძებს სოციალისტური აზრი და საზოგადოებრივი პრაქტიკა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამ

გარდაქმნის კონსეფცია

საკითხის მნიშვნელობა უსაზღვროდ იზრდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში — ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ — მოცემულია მართვის გარდაქმნის კონცეფცია.

რასი მდგომარეობს მისი ძირითადი არსი და მნიშვნელობა?

იგი, ეს კონცეფცია მიზნად სახავს ეკონომიკური ზრდის ორიენტაციის შეცვლას, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პრო-

გრესის გადაქცევას ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად, საიმედოდ მოქმედი ხარჯსაწინააღმდეგო მექანიზმის შექმნას.

ყოველივე ამის მისაღწევად საჭიროა:

1. გაერთიანებისა და საწარმოების დამოუკიდებლობის საზღვრების მკვეთრი გაფართოება, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათი გადაყვანა, უმაღლესი საბოლოო შედეგებისათვის მომხმარებლის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, კოლექტიური, საოჯახო და ინდივიდუალური იჯარის ფართო განვითარება;

2. ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნა, მისი თვისებრივი დონის ამაღლება;

3. დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის კარდინალური რეფორმა, წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, შრომისა და სოციალური პროცესების მართვის გარდაქმნა;

4. ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალიზაციის გაღრმავებასა და კოოპერაციული კავშირების საიმედოობის გაზრდას, აგრეთვე მეცნიერების უშუალო ჩაბმას წარმოებაში და ამ საფუძველზე — ხარისხის მსოფლიო დონეზე გასვლას;

5. მართვის მეტისმეტად ცენტრალიზებული, საკომანდო სისტემიდან გადასვლა დემოკრატიულ სისტემაზე, თვითმმართველობის განვითარება, პიროვნების პოტენციალის გააქტიურების მექანიზმის შექმნა, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა

ლიპილი

თინათინ ხმალავა

როგორ მომარაგა?

ატრემლებული თავი მივიდა ვეფხვთან და შეხივლა:

— ბატონო ვეფხვო, რაც რამ არსებობს ჩვენს სამფლობელოში, ქურდბაცაცამ პირწმინდად შევიდა თავის ბუნაგში, ჩვენს სარჩო-საბადებლად ნატამალიც კი აღარ დაგვიტოვაო.

— ვინ არის, რომ ამდენი გაბედა? — მრისხანედ ბრძანა ვეფხვმა. — ახლავე მომახსენე და თავს წავაცლიო.

გაფულისებულმა თავუნამ თამამად მიაყარა:

— ქურდი, ბატონო, მსუნავი, ბოროტი, შეუბრალებელი, გაიძვერა, დაუნდობელი, გაუმადლარი, შურიანი მელა გახლავსო.

— ოჰო, — შეწუხდა ვეფხვი. — მე ერთი, ამდენ მელას როგორ მოვერგვიო?..

მენისიპავეზი ქალმხუცი

აბელი რესტორანში მუშაობდა. ნაცნობ-უცნობები მისგან ნიხადა მიირთმევდნენ ხაჭაპლ-ხახ-მელს და არახოდეს არ უნადლებდნენ. როგორც ამბობენ, ვალებიხაგან ძალზე შეწუხებული აბელი ამ მიზეზით დაიღუპა.

შეიტყვეს თუ არა მენისიპავეზმა, სამიმარზე მივიდნენ და ქალებზეც დარჩნენ:

— ეჰ, ჩვენო აბელი იმდენი სიკეთე კი გვახსოვს შენგან, რომ არ შეგვეძლო, შენს საპატივცემულოდ ქალებზე არ მოვსულიყავით და თითო ჭიქა მაინც არ წავგვეჭია შენ სახელზეო.

რა იაფი ყოფილხარ?

აბელმა სახლის კარებთან წაღები დააწყო, იფიქრა, ნახევრად ძველს აბა ვინ იკადრებს და წაიღებოს? დილით კარი რომ გამოაღო, წაღები აღარ დახვდა. მაშინ კი შეწუხდა: აღბათ, მართლაც ღირებული ყოფილა, რომ მოუპარავთო.

ზმაურზე მეზობელი გამოვიდა და პკითხა აბელს:

— რა ფასიანი იყო შენი წაღებიო?

— ხუთ მანეთიანიო, — დანაწებით მიუგო დაზარალებულმა, და დაიფიცა, რომ ასეთ სისულელეს აწი აღარ გაიმეორებდა.

— ეებს, ჩემო აბელი, ამოიხსრა მეზობელმა, — ხუთ მანეთად თუ ჭკუას ისწავლიდი, რა იაფი ყოფილხარო!

უკვე მიუსხაჯის

ერთმა პაციმარმა უთხრა მეორეს:
— იცი? ძალიან ვნერვიულობი
— რატომ?
— არ ვიცი, რამდენს მომხსიან.
— მე კი დამშვიდებული ვარ.
— ეს როგორ?
— უკვე მომისაჯეს..

ვის არის ქურდი

— რატომ გიწყევიათ მაგიდაზე ფული, ბრილიანტის ბეჭედი... არ გეშინიათ, ვინმე რომ აგაცალოთ?
— მინდა, გავიგო, ვინ არის ქურდი.

მერა რა მოხდა

პაციმენტი: მიშველეთ ექიმო, ხელფეხი მისივდება.

ექიმი: მერა რა მოხდა? რამ შეგაშინა? მე თვითონ თავ-ფეხიანად ვხივდები, მაგრამ აქამდე თავი არ მომიკლავს.

ქალი დაილია?

ქმარმა ცოლი უცხო მამაკაცთან შეისწრო. გაფთრებულმა მეტოქის მოსაკლავად გაიწია.

— რა იყო, შე კაი კაცი, — გაოცდა უცნობი, — ქვეყანაზე ქალი დაილია?

საუბედური

მგელმა თქვა:
— რამდენი მავნე ნადირი მყავს გაჩანაგებული და, ჩემი მადლობელი მაინც არავინ არისო.
მელამ დაიწუწუნა:
— ნადირთა სამეფოში ჩემისთანა მოხერხებული და ხაზრიანი სხვა არავინ მეგულუნა, მაგრამ მაინც გაიძვერას მეძახიანო.

ლობიოს პარკი

— ლობიოს პარკის ნახარში ფეხბარია დიბეტი დაავადებულითათვის, — მიუთითა ერთმა მეორეს.
— მერედა, ვინ განეკურნა ამით?
— დედაჩემი!
— აფსუს, მე რომ დედა არა მყავს?!

და მათი საქმიანობის სტილისა და მეთოდების ძირეული შეცვლა.

XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ ასახა ის ახალი ვითარება, რომელიც ყალიბდება ჩვენში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ.

ჩვენი განვითარების ძირითად მიმართულებათა დავალებანი და ციფრები, რომლებიც მოიწონა სკკპ XXVII ყრილობამ, განასახიერებენ პარტიის საპროგრამო დებულებას, რომლის მიზანია, დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ორი ათას წლამდე, მივალწიოთ საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალ მდგომარეობას, ორმად გარდავქმნათ საწარმოო ძალები და სრულფასოვანი წარმოებითი ურთიერთობა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მიჯნები, რომლებსაც ჩვენმა ეკონომიკამ უნდა მიაღწიოს XX საუკუნის დამლევს, ზუსტად სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის დებულებათა შესაბამისად არის განსაზღვრული.

ამასთან, გარდაქმნის კონცეფცია — ჩვენი განვითარების ძირითადი ღერძი, წინსვლის გზა და ბერკეტი. განვითარების უფრო მაღალ ტრეკტორიაზე — დაჩქარების ტრეკტორიაზე გადასვლით უნდა გავაორკეცოთ ქვეყნის ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. ამის შედეგად შეიქმნება ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც დაახლოებით საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების განმავლობაში დაგროვილი პოტენციალის ტოლი იქნება. ამრიგად, გადაიდგმება კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი სა-

ჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გზაზე.

დაჩქარების პროცესში უნდა გადაწყდეს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა — ჩამოყალიბდეს წარმოების ისეთი პარმონიული სტრუქტურა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მუდმივად მზარდ და ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზრდის ყოველი პროცენტის, ყოველი მანეთის მიღმა უნდა იდგეს საუკეთესო სამომხმარებლო თვისებების მქონე თვისებრივად ახალი, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის საჭირო, თანაც ეფექტიანი პროდუქცია.

გარდაქმნა გულისხმობს აგრეთვე ყოველმხრივ და თანამიმდევრულ ინტენსიფიკაციას, კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას და მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი მიჯნების მიღწევას.

სწორედ ეს არის ჩვენი მოძრაობის ის ამჩქარებელი, რომლის მოქმედებაც სულ უფრო და უფრო გაძლიერდება. გარდაქმნის კურსი მოითხოვს, რომ უახლოესი თხუთმეტწლეულის ზუსტი ორიენტირება ჰქონდეს ყველა დარგსა და რესპუბლიკას. მხოლოდ ასე შევძლებთ მკაფიოდ განვსაზღვროთ ჩვენი ზრდის საფეხურები, უზრუნველვყოთ მიზნების მემკვიდრეობითობა და მეურნეობრიობის ტაქტიკა მიმდინარე ასწლეულის დამლევამდე, დავადგინოთ ყოველი ხუთწლეულის ადგილი და როლი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში.


გარდაქმნის სტრატეგია ეკონომიკის ზრდა-განვითარების მაღალი ტემპის გარდა ითვალისწინებს აქტიური სოციალური

პოლიტიკის განხორციელებას. მხედველობაში გვაქვს სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრული დამკვიდრება, აგრეთვე საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფა, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლება, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება, ინერციის, უნიათობისა და კონსერვატიზმის გადაჭრით დაძლევა, ყოველივე იმის უარყოფა, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს. ერთი სიტყვით, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ყველა ჩვენი პრობლემის: უახლოესი და პერსპექტიული, ეკონომიკური და სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური, საშინაო და საგარეო პრობლემების გადაჭრის გზაა. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია და კიდევაც უნდა მივალწიოთ საბჭოთა საზოგადოების ახალ თვისებრივ მდგომარეობას.

ამასთან იმისათვის, რომ გავაღრმავოთ და შეუქცევადი გავხადოთ რევოლუციური გარდაქმნა, საჭიროა, უკეთ ვიცოდეთ ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

ამრიგად, კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში გაშლილი გარდაქმნის კონცეფცია მილიონთა პრაქტიკული საქმე ხდება. ეს არის ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკური ვითარების არსი.

კლიმენტ ელიზბარაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი.



თბილისის რკინიგზის სადგურის ახალი შენობა ფოტო ელუარდ გიგიაშვილისა

კორიდას

პანელეზიც საკმაოდა ხარებთან ორთაბრძოლის მოყვარული, მაგრამ უკანასკნელ წლებში კორიდას აკრძალვის მომხრეთა რაოდენობა საგრძობლად გაიზარდა. ხომ არ ემუქრება კორიდას ძალღების ორთაბრძოლების ბედი? ეს კითხვა უკვე ბევრს აფიქრებს.

კორიდას წინააღმდეგ მიმართულ საკმაოდ გავლენიან მოძრაობას სათავეში უდგას ცხოველთა დაცვის საზოგადოება. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ამ საზოგადოების მესვეურები მეტად ეფექტურად წარმართავენ თავიანთ საპროტესტო საქმიანობას. მათი მცდელობა უპირველესად მიმართულია იქით, რომ გამოიწვიონ საშუალებები იმ ვაკუუმის შესავსებად, რომელიც გაჩნდება ხარებთან ორთაბრძოლების აკრძალვის შემთხვევაში. აუცილებელია დამკვიდრდეს პოპულარობის მასშტაბით კორიდას ანალოგიური, მასობრივი და აზარტული სანახაობა. პირინეზე ბოლო ათწლეულებში ასეთ სანახაობად იქცა ფენბურთი. ფენბურთს, მსყურებელთა დასწრების რაოდენობით, ვერც ერთი სხვა გასართობი ვერ უწევს კონკურენციას. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ წამოაყენა ლოზუნგი: კორიდა — არა, ფენბურთი — დიას.

კორიდას უმეტესწილად უცხოელი ტურისტები ესწრებიან. ესპანელთა დიდი ნაწილი ხარებთან ორთაბრძოლებს არ ესწრება ორი მიზეზის გამო: ერთია ის, რომ ეს არის მათი აზრით ზომაზე მეტი სისასტიკე. მეორე მიზეზი ბილეთის მაღალი ფასი გახლავთ. მაგრამ კორიდას გაუქმება არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ადვილად მოეჩვენოს ზოგიერთს. ვთქვათ, გამოვიდა ბრძანებულება ან კანონი. მეორე დღიდანვე მთელ სახელმწიფოში ერთიანად აიკრძალება ყველაფერი?

არა, ეს არ მოხდება არა იმიტომ, რომ სახელმწიფო საკმაოდ დიდ შემოსავალს ნახულობს მისგან, არამედ იმიტომაც, აღმინისტრირებას არ შეიძლება მოჰყვეს დადებითი შედეგები. მართალია, კორიდა არც გლადიატორთა შერკინებაა და არც მამლეზისა ან ძალღების ჩხუბი. ტრადიციული ფინალი მაინც ერთიმეორესთან ანათესავებს ამ სანახაობებს.

ესპანეთში კორიდა იძულებით არავის დაუნერგია. იგი საუკუნეების ხილბოდიან იღებს სათავეს და პირინეის, იგივე იბერიის მკვიდრთა უძველეს, წარმართულ რწმენას უკავშირდება. სხვათაშორის, კავკასიელი იბერიელების — ქართველთა წინაპრების პანთეონშიც ხარის ღვთაებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. სწორედ ამიტომ ადრეკისისტიანული ტაძრების რელიეფებში არც თუ იშვიათად ვხვდებით ხარის გამოსახულებას.

დღევანდელი კორიდა, უძველესი ხალხურ-რელიგიური დღესასწაულის ტრანსფორმირებული სახეა. ამჟამადაც ესპანეთის სხვადასხვა პროვინციებში, მათ შორის ბასკთა ქვეყანაშიც, დიდი პოპულარობით ხარგებლობს ხარებთან ორთაბრძოლები. ამ დროს კორიდას არენას მთელი ქალაქი წარმოადგენს და ქუჩებში გამოშვებული გაავებულ შავ მოზერებთან (ორთაბრძოლებსათვის ტრადიციულად შავი ფერის ხარები გამოიყვანთ) ნებისმიერ მსურველს შეუძლია გამოსცადოს საკუთარი გამხედლობა: სისწრაფე, მოხერხება და გამჭრიახობა. და საერთოდ ესპანელთათვის, კატალიუნიელებისა და ბასკებისათვის, კორიდა სილამაზისა და მამაცობის სიმბოლოდ აღიქმება.

კორიდას აკრძალვას მრავალჯერ შეეცადნენ. ორმა პაპმა და რამდენიმე მონარქმა გარკვეული დროის მანძილზე გააუქმეს კიდევ ეს სანახაობა, მაგრამ აკრძალვამ არავითარი შედეგი არ გამოიღო (იხვე, როგორც „მშრალმა კანონმა“. შემცირების ნაცვლად, პირიქით, გაზარდა ალკოჰოლის მოხმარება). სხელისუფლების ფარულად მაინც იმართებოდა ხარებთან ორთაბრძოლები. ცხადია, დაუდევარ, გახედულ პირინელებს რეპრესიები ვერ შეაჩერებდათ, ამიტომ ხარებთან ორთაბრძოლები ფართულ, დამაინტერესებლ სახეს იღებდა.

ასეა, ამ მოხარებით არ კრძალავენ კორიდას, ხოლო ცხოველთა დაცვის საზოგადოების მესვეურები ცდილობენ, თანამიმდევრული შეგონებებით იმოქმედონ თანამემამულეებზე. დღეს ესპანეთში კორიდას ხარეკლამო აფიშებთან ერთად გვხვდება მისი სპირისპირო პლაკატებიც, რომლებზეც გასისხლიანებული შავი ხარია აღბეჭდილი, მის ქვემოთ კი წარწერაა: „წამება არც ხელოვნებაა და არც კულტურის გამოვლენა“.

მოწინააღმდეგეთა გარდა ესპანეთში კორიდას მომხრეებიც მრავალაა ჰყავს. ისინი თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ კორიდა წმინდა ეროვნული სანახაობაა და ხარებთან ორთაბრძოლის ტრადიცია კრეტა-მიკენის ეპოქიდან იღებს სათავეს. კორიდას ხშირად ადარებენ კლასიკურ დრამასაც, თუმცა იმასაც შენიშნავენ, რომ ეს არის სასტიკი სპექტაკლი. თავის მხრივ ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრები თავიანთ ბუკლეტებსა და ბროშურებში ცდილობენ, დაასაბუთონ კორიდას კლასიკურ დრამასთან შედარებით უსაფუძვლობა.

კორიდას ერთ-ერთი გავლენიანი დამცველი ჰემინგუე იყო. საქვეყნოდ ცნობილია მისი დამოკიდებულება ხარებთან ორთაბრძოლასთან. იგი კორიდას თვლიდა „ადამიანის მიერ შექმნილ კლასიკურ სილამაზედ“. ესპანეთში ცხოვრების დროს ჰემინგუე თავადაც იღებდა მონაწილეობას ხარებთან ორთაბრძოლებში. მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა ბევრ ცნობილ ტორეადორთან. კუბაზე, ფინკა ვინიაში, მწერლის სახლ-მუზეუმის კედლებზე გამოფენილია პლასა დელ ტოროს აფიშები, რომელთაც ცნობილი ტორეადორების ავტოგრაფები ამშვენებენ. მათ შორის ერთ-ერთზე გამორჩენილი ტორეადორის დომენგინოს ავტოგრაფიცაა. დომენგინოს სახელი საბჭოთა კავშირშიც ცნობილია — რამდენიმე ფილმში გამოდგენილი და ამ ფილმებს ჩვენს კინოეკრანებზე უჩვენებდნენ.

კორიდას სასარგებლოდ მოქმედებს ერთი გარემოებაც, რომელსაც ვერავითარი არგუმენტით ვერ ჩრდილავენ ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრები. ეს მატერიალური შემოსავალია. ოფიციალური გამოანგარიშების თანახმად ხარებთან ორთაბრძოლებს წლის განმავლობაში 81 მილიონი მსყურებელი ესწრება (მათ შორის მრავალი უცხოელი). ეს საკმაოდ მაღალი ციფრია 81-მილიონიანი ქვეყნისათვის. მართლაც ბილეთების შემოსავალი 100 მილიონ დოლარს აღემატება და თუ ამას დავუმატებ სხვენირებით ვაჭრობისაგან მიღებულ მოგებას, ეს თანხა ერთი-ორად იზრდება.

დღესათვის დაახლოებით 150.000 ესპანელი არის დასაქმებული ხარებთან ბრძოლის ბიზნესში (ამ ციფრში არ იგულისხმება კორიდას რეკლამისა და სხვენირების წარმოებაში ჩაბმულთა რაოდენობა). ასე რომ, კორიდას გაუქმება მრავალი ათასი ადამიანის უშუშეკრად დარჩენასთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად ამისა, ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრები იმდენ მაინც არ კარგავენ და სჭერათ, რომ საბოლოოდ მაინც შესძლებენ კორიდას აკრძალვას. 1987 წელს ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ესპანელთა 50,8 პროცენტი უარყოფითად ეკიდება ხარებთან ორთაბრძოლებს, ხოლო 33 პროცენტი კორიდას ხართოდ აკრძალვას მოითხოვს.

ესპანეთის ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრებმა თავიანთი აქტიური საქმიანობით, უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს, ვიდრე მათმა ამერიკელმა ან ინგლისელმა კოლეგებმა, რომლებიც წლების მანძილზე უშედეგოდ იბრძვიან ძალღების რბობის ასაკრძალვად (ცხოველთა დამცველები გვარწმუნებენ, ელექტროკურდღელს გამოდევნებული მწვეარე ჯანმრთელობისათვის მავნე ფსიქოფიზიოლოგიურ გადატვირთვას იღებს).

სანამ ცხოველთა დამცველები თავიანთი გენერალური შეტევისათვის ემზადებიან, პლასა დელ ტოროს თავიანთსმცემლები მოუთმენლად ელიან კორიდას მორიგი სეზონის დაწყებას. კორიდა ტრადიციისამებრ ქალაქ ვალდემირილოში იხსნება. გადაქედელი ტრიბუნები, არენაზე კი ნაირფერ სამოსში გამოწყობილი ტორეადორები, მატადორები, ცხენებზე ამხედრებული პიკადორები, რქებწამახული შავი მოზერები... საზეიმო განწყობის, დაძაბული მოლოდინის ატმოსფეროში იწყება ჰემინგუე ფიქსტა.

ბევრი აღნიშნავს, რომ რამდენიმე დაძაბული წუთის სანაცვლოდ ტორეადორები



კორიდა და ესპანეთი თათქმის ერთმანეთის სინონიმებად იქცნენ. ყოველწლიურად მრავალი ათასი უცხოელი ტურისტო მიეშურება პირინეის ნახევარკუნძულზე, რათა სოცოცხლში ერთხელ მაინც შესძლოს ამ ეგზოტიკური სანახაობის ხილვა. თავად ესპანელი

რედაქციის უდიდეს მონაწილეს იღებენ, მაგრამ ამ დროს მხედველობიდან რჩებათ, რომ ამ რამდენიმე წუთის დირექტორად ჩატარებისათვის რამდენიმე წლის დაუღალავი შრომა საჭირო. შრომა, გაბედულება და იღბალი! ერთი შეცდომა, ყურადღების მოღუწება და ხიფათი არ დაახანებს.

ტორეადორების მონაწილე, მართლაც, შეიძლება ითქვას საარაკოა. თუმცა ძნელია იმის თქმა, ეს ანაზღაურება ნამდვილად შეესაბამება თუ არა ტორეადორთა დახარჯულ შრომას, მათ გაწეულ რისკს? ცნობილ ტორეადორთა და მადატორთა ანაზღაურება სეზონის განმავლობაში 30.000 დოლარს შეადგენს, ასეთი მაღალი შემოსავალი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ნაკლებ ცნობილ ტორეადორთა შემოსავალი საკმაოდ უმნიშვნელო თანხით განისაზღვრება.

ესპანეთში წლის განმავლობაში 8.000-ჯერ ეწყობა კორიდა (აქ შედის როგორც დიდ არენებზე, ასევე პროვინციებში და კერძო პირთა მიერ მოწყობილი კორიდები). საშუალოდ 50-მდე ტორეადორი იღებს ხერხოვან ტრავმებს. სხვათაშორის, ადამიანთა დაღუპვის შემთხვევები საკმაოდ იშვიათად ხდება, ბევრად უფრო ნაკლებად, ვიდრე რბოლების დროს.

ასე რომ, ტორეადორის პროფესია მრბოლელის პროფესიასთან შედარებით ნაკლებ ხიფათიანად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ დაშავებულ ტორეადორთა და მომსახურე პერსონალთა დიდი ნაწილი — სამუდამოდ ხეიბრად რჩება.

ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრთა გააფთრებას არა მატადორთა და ტორეადორთა დაშავება იწვევს, არამედ ის 24.000 ხარი, რომელიც პიკადორთა შუბებითა და მატადორთა დაშენებით განგმირულნი გააქვთ გადაწითლებული არენიდან.

მიღწევენ თუ არა კორიდას აკრძალვას, მომავლის საქმეა და ეს მხოლოდ სახალხო რეფერენდუმის გადაწყვეტილების შედეგად შეიძლება. რა თქმა უნდა, კორიდა ამით მაინც არ შეწყვეტს თავის არსებობას, რადგან ესპანეთის გარდა იგი პორტუგალიაში და მექსიკაშიც საკმაოდ პოპულარულია. და ხანამ ცხოველთა დამცველები ძალას არ ზოგავენ ხარების გადარჩენისათვის, პლასა დელ ტოროს პირთამდე გადატენილი ტრიბუნებიდან კვლავ გაისმის ტორეადორთა გამამხნევებელი შეძახილი — „ოლე!“ „ოლე!“

გეშმარითად ვაჟაკური, აზარტული და ხისხლიანი ფიესტა კვლავ გრძელდება.

ნუგზარ ბარდაველიძე

უნივერსიტეტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ციალა სვანიძე სამ ათეულ წელზე მეტია, გულითადად ემსახურება მშობელ ხალხს. იგი მხოლოდ გეოლოგიური მეცნიერების სფეროთი როდი იფარგლება, მუდამ მამულიშვილური ფიქრები აფორიაქებს, ცხოვრების ურთულეს პრობლემებზე დაგაფიქრებთ, ადამიანის რაობაზე წუხილით შეგძრავთ. რა არის ადამიანი, რა მიზნების სამსახურში უნდა გალიოს მან თავისი სიცოცხლე, ადამიანური მშვენიერება რომ არ დაკარგოს... ალბათ, ამ მრავალრიცხოვანი ინტერესების შედეგი იყო, რომ მეცნიერებით გატაცებული ქალიშვილი საბალეტო სტუდიაშიც დადიოდა.

აკადემიკოსების ალ. ჯანელიძის, ა. თვალჭრელიძის, ი. კაჭარავას, ი. კახიძის, გ. ძოწენიძისა და სხვა ცნობილი პედაგოგების ღირსეული მოწაფე იყო, კარპინსკის სახელობის სტიპენდიანტი. დღეს იგი თავისი საქმის ფანატიკოსია, ლექციებს კითხულობს მეცნიერების სხვადასხვა დარგში: „შესავალი გეოლოგიაში“, „პანტეონტოლოგიაში“, „ისტორიული გეოლოგია“, „პანტეონტოლოგია“.

ლიმილიანი ქალი ყველას უხვად უნაწილებს გულის სიტბოსა და სიყვარულს, თვითონაც საპასუხო სიყვარულს ღებულობს. მის სამეცნიერო შრომებზე თაობები იზრდება.

ცნობილი მეცნიერი განსაკუთრებით არის გატაცებული სპორტით. ჯერ კალათბურთს თამაშობდა. მალე კალათბურთი ფრენბურთმა შეცვალა და უნივერსიტეტის გუნდის კაპიტნად აირჩიეს. მონაწილეობდა რესპუბლიკის პირველობაში, მერე საქართველოს ნაკრებში მოხვდა და ამ სახეობაშიც პირველი თანრიგი მოიპოვა. მალე ალპინიზმშიც თანრიგისანი გახდა — იალბუზი და სხვა სიმაღლეები დალაშქრა, ალპინიზმშიც მიიღო მონაწილეობა.

პირველად ფეხბურთზე რომ მოვხვდი, შვიდი წლისა ვიყავი. ლეგენდარული ბასკი ოსტატების ნახვა მთელმა თბილისმა მოისურვა, — გვიამბობს ქალბატონი ციალა, — ბიძამ მეც წამიყვანა. ამ დღიდან შემიყვარდა ფეხბურთი და ასე დავდიოდი მრავალი წლის მანძილზე. პაიჭაძისა და ლოლობერიძის, მესხისა და მეტრეველის, იამანიძისა და ბარქაიას მატ-



ჩებზე. მათთან ერთად მიხარობდა და მათთან ერთად ვწუხდი.

ექვსი წელი ხელმძღვანელობდა ც. სვანიძე ფეხბურთის მოყვარულთა კლუბს, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტთან არსებობდა. კლუბის მიზანი იყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისათვის განსაკუთრებული ღონისძიებების მოწყობა, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებთან დაახლოება. ისინი ფეხბურთელებისათვის კითხულობდნენ ლექციებს.

ერთხელ, — გვიამბობს ღიმილით ქალბატონი ციალა, — ყველანი ერთად დავესწარიით რუსთაველის თეატრის წარმოდგენას. მერე მონაწილეებს შეგხვდით. რობერტ სტურუამ სტუმრებს უთხრა, ჩვენ ერთმანეთს ძალიან ვგავართ, ორივეს ბევრი მაყურებელი გვყავსო. ეს გაიცა მაშინდელმა გუნდის მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა და მოსწრებულად მიუგო — თქვენი ბილეთი უფრო ძვირია, თანაც წარმოდგენა და თამაში თუ არ მოეწონებათ მაყურებლებს, ჩუმიად სხედან, ბოლოს ტაშს მაინც დაგიკრავენ. ჩვენი თამაშით უკმაყოფილონი კი ხმამაღალი ლანძღვით გვიმასპინძლდებიანო (ერთი გემრიელად შემოგვიკურთხებენ კიდევცო).

გაზეთ „თბილისში“ დაბეჭდილია საინტერესო სტატია, „ოცდაათნი მამაკაცი და... ერთი ქალი, რომელშიც ლაპარაკია მასზე, როგორც თბილისის


ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან შექმნილ გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტზე. დიან, ოცდაათნი მამაკაცს გვერდს უმშვენივრდა ერთადერთი ქალი — გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დარგში პირველი ქალი დოქტორი, პროფესორი, უნივერსიტეტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ციალა სვანიძე.

...ქალისათვის ადვილი არ უნდა იყოს გეოლოგიად მუშაობა, — კლდე-ღრეში ხეტიალი მასალების მოსაპოვებლად, სპეციალისტები ველზე გასვლას რომ ეძახიან. თუმცა ქალბატონ ციალას სწორედ „ველზე გასვლა“ უხარია ყველაზე მეტად, უხარია კი არა, მოენატრება და როგორც კი დროს გამოძებნის, ერთი-ორი დღით მაინც „გაუტევეს“ ხოლმე.

ისტორიული ძეგლებით ცოცხლობს. ვანის ნაქალაქევის ყველა კენჭი, ყოველი მტკაველი მიწა ძვირფასია მისთვის. კიდევ ბოლნისის სიონი უყვარს საოცრად და ყინწვისის ფრესკის ცისფერი...

ადამიანი, — გვიამბობს ქალბატონი ციალა, — დასასვენებლად და სანებდროდ არ გაჩენილა ქვეყანაზე. თუ არ იშრომე, არ განიცადე, სიკეთე არ დაითესე, არ დაიღალე, გამოგაფიქრე საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა, საკუთარ თავისათვისაც მოსაბეზრებელი და ზედმეტი გახდები...

თამარ ზომართელი



თარაზულად: 7. მსახობი ქალი, სსრკ სახალხო არტისტი; 8. მაჯაზე გასაკეთებელი სამკაული; 9. ელექტროდენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 10. ტრიკოტაჟის ერთგვარი უხაყელი სათბურა; 12. რისამე დამახასიათებელი ნიშანი; 15. რ. ვაგნერის ოპერა; 17. რიტმული სვლა; 19. შავიზღვისპირა კურორტი; 21. სახელმწიფოს შეიარაღებული ჯარი; 23. ტბილი, ბლანტი ნივთიერება; 24. მშენებარე ქალაქი ბაზუი; 27. ფრანგი კინომსახიობი ქალი; 28. ქართლის სოფელი; 29. სამართლის მეცნიერების დარგი.

შვეულად: 1. საკონდიტრო ნაწარმი; 2. სხვადასხვაგვარად მომზადებული მოხარშული ბრინჯი; 3. პერიოდული სხდომა; 4. ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული წეს-ჩვეულებები, ყოფაქცევის ნორმები; 5. მაღალხარისხის მინა; 6. ქართველი მწერალი; 11. ჟღერის სხივები, რომლებსაც აქვთ არაგამჭვირვალე საფენებში შეღწევის უნარი. 13. უკრაინული სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი საქართველოში; 16. თვე; 18. გრძელი თონის პური; 20. ქართული სუნამო; 22. სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 23. ხვედრდოვანი ზედაპირის მქონე თხელი და რბილი ტყავი; 25. მატყლის ან ბამბის მკერივი ქსოვილი, ზედა ტანსაცმლისათვის; 26. საგრილობელი.

პროსპორდი უბაღინა გიორგი ძურდოვანიძე

მშობლიური ინსტიქტი მაგიური ძალაა, როცა ცხოველებს უფრო მეტი სიყვარულით საკუთარი შთამომავლობის საკეთილდღეოდ უფრო მეტი სიყვარულით ცნობილი ფაქტია: განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზეა ცხოველი, მით უფრო კარგი მშობელია. მაგრამ გამონაკლისი ყველა კანონში არსებობს: გველები თევზებზე განვითარებული არსებები არიან, მაგრამ ზოგიერთი სახეობის თევზის შედარება გველებთან შეუძლებელია, ვინაიდან ამ უკანასკნელთ სულ არ აღადრებთ შთამომავლობის ბედი.

ცხოველთა სამყაროში ფრინველებისთანა მშობლობას ვერაფერს დაიკვირვებინს. ისინი კეთილშობილების ეტალონებადაც კი არიან მიჩნეული. ეს იქნება ჩანს, რომ მშობლობისას ფროსნები, განურჩევლად სქესისა, უდიდეს სასიცოცხლო ენერჯიას ხარჯავენ და ხშირად თავსაც ანაცვალბენ ხოლმე ბარტყების გაზრდას.

მართლაც უშუალოდ დედა არწივი მეურვეობს: აჭმევს, მტრისაგან იცავს. მამა ნადირობს და შთამომავლობის დაფრთხილებამდე საკვებით უზრუნველყოფს ოჯახს. დედა-შვილის ურთიერთობა იმდენად სპეციფიკურია, საკვებით თავზე საყრდელად რომ მქონდეს, დედის სიკვდილის შემთხვევაში მართლაც იღუპება. არწივთა მოდგმის რაღაც დაუწერელი კანონებით, მამა არწივის მიერ მართლაც გამოკვება ამ ფრინველთა წესი არ არის.

ფრინველებთან ერთად იშვიათად შეხვდებით ცხოველებს, რომლებიც ისე ზრუნავდნენ შთამომავლობაზე, ისე დიდ დროს უთმობდნენ მათ გაზრდას, როგორც ძუძუმწოვრები.

დედა დათვი თავის პირმშოს, უმეტესად კი წყვილ ბელს, პირველად მხოლოდ გაზაფხულზე, ორი თვის ასაკში ხედავს; თებერვალში, ნახევარკილოგრამიანი ბელების გაჩენისას, ბუნაგში სრული სიმწიფე სუფევს. ბელების არსებობას დედის მათი ნაწი სუნი და მოშვიებისას ძუძუების ჩიჭვნა თუ აგრძნობინებს. დათვი ამ დროს ჯერ კიდევ ზამთრის ძილშია.

პატარებთან ნამდვილი გაცნობა აპრილში ხდება.

ფათერაკებით აღსავსე ტყურთა მტრულ გარემოში დედა ვალდებულია შვილს ასწავლოს, თუ სადაა ყველაზე ანკარა წყარო, ყველაზე ნესტიანი მდელო. გაზაფხულობით სად შეიძლება ყველაზე გემრიელი, საკვებად ვარგისი ფესვების ამოთხრა. ზაფხულობით ხილისა და კენკრის მოშობაზე, შემოდგომაზე — თხილით, წაბლითა და რკითი პირის ჩაგემოვნებაზე. სად უნდა მიავსო ყველაზე მეტ წინდგობის თავს, სად ცხოვრობენ თრითინები...

დათვა ბელებს უნდა უჩვენოს ზურგის მოსაფხანად ყველაზე მოხერხებული, ვეებერთელა კუნძები, ეშვებისა და ბრჭყალების საღესი ხეები. ხეები დათვა მოდგმისათვის საჭირო ბევრი ინფორმაციის წყაროცაა. ხეთა ზროზე დატოვებული ნაკარებისა და ნაუღევების ზომის, სიღრმის, სიმაღლის, რაოდენობის მიხედვით დათვები აზუსტებენ საქორწინო ასაკის ძუ დათვების რაოდენობას, ზვადის ძალასა და ტანაობას, სამეზობლო ტერიტორიას.

ხვალი დათვი შთამომავლობის გაზრდაში არ მონაწილეობს, პირიქით, ბელებს ერჩის კიდევ. ამიტომ დედა დათვისათვის ამ ხე-„ინფორმატორებს“ დიდი მნიშვნელობა აქვს სიფხიზლისთვისაც: ისინი უშეცდომოდ აგებინებენ დედას ბელებისათვის საშუაო მამრის სიახლოვეს. უფრო მეტიც, დატოვებული კვალის სუნის სიმძაფრით მდღერი უშეცდომოდ საზღვრავს ზვადის ვივის დღესა და საათს.

მგელი — შესანიშნავი მამა — თავის ლეკვებს ჭკუფური ნადირობის ეშმაკურ ხერხებს ასწავლის. ნადირობისას მგელი-მამის დარიგება შვილებისადმი ადამიანის ენაზე დაახლოებით შემდეგნაირად უღერს: „შენ — მიმართავ იგი ერთ-ერთ ლეკვს, — დედაშენთან ერთად ირმის ჯოგს მარცხნიდან დაუვლი, შენ კი, — მიმართავ მეორეს, — თავდასხმაში დედას მარჯვნიდან დაეხმარები. ბიძაქვენი ჯოგს წინ მოექცევა და პირდაპირ მათკენ გაექანება, რათა შეაშინოს და გააჩეროს ირმები. მერე მე თვითონ შევევარდები ჯოგის შუაგულში და ვაიძულებ ირმებს, გაიფანტონ სხვადასხვა მხარეს“. ეს უღერესად სხარტი, ლაკონური ინსტრუქცია შეიცავს მოახლოებული ნადირობის როგორც სტრატეგიის, ისე ტაქტიკის აუცილებელ ელემენტებს. მგლის ლეკვებს დამატებითი ასხნა-განმარტება არც სჭირდებათ, — მათ შესანიშნავად იციან, რომ პირველ რიგში თავს უნდა დაესხან ბებერსა და ავადმყოფ ირმებს, ანდა დედებს ჩამორჩენილ ნუკრებს. თავს დაესხა დავრდომილ მსხვერპლს — ეს ნადირობის თანდაყოლილი ინსტიქტია, მაგრამ ფლანგებიდან, თავსა და ბოლოში თავს დაესხა, გაფანტო და დაახლოო ჯოგი, რათა ხელში ჩაიგდო მსხვერპლი — აი, ამ ხერხების დაუფლება ერთ რამედა ღირს!

არნოლდ გეგეჰორი

მე-2 ნომერი შთამომავლობის პროსპორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ლაზიერი; 6. მაჩაიძე; 9. ტენდენცია; 10. სტეკი; 12. „ისკრა“; 14. ნიგერია; 16. ფრანკო; 17. კვარტი; 18. დეკადა; 19. ბილბო; 23. ცერცვი; 24. დაურია; 25. აკლდამა; 28. კაკაო; 30. ბისტი; 31. სემანტიკა; 32. აბაკანი; 33. ტრიბუნი.


შვეულად 1. „ფიბტი“; 2. ბრინჯი; 3. მარცხი; 4. სალაი; 5. ლექტორი; 7. ევფრათი; 8. მესერი; 11. კონცეფცია; 13. სიასამური; 14. ნოტაცია; 15. აკოლდა; 20. ვერანდა; 21. ხადენი; 22. დიქტორი; 26. კიშონი; 27. მაიორი; 29. ოსაკა; 30. ბამბა.



გარეკანის პირველ გვერდზე: „დედა-შვილობა“. ფოტოეტიუდი იური რიდალოვისა. მეოთხე გვერდზე: მარგო ყაჭრიშვილის ნამუშევრები.

გადაეცა წარმოებას 12. 01. 89 ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 02. 89. უე 08824. ქალაქის ზომა 70x108¹/₃. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,89. ტირაჟი 50.000 შეკვეთა 77. ფასი 35 კაპ. 260099. თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ კვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 2, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტეფელონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნო — 99-54-66. რედაქციაში უამრუსი მასალა აპროს არ უბრუნდება.





ეს პატარა ოთახი სახელოსნოც არის და საგამოფენო დარბაზიც. აქ ათასწერადი ყვავილების სამყარო შეუქმნია მარგო ყაჭარიშვილს.

„გამორჩეული ხელწერის ხელოვანი, ინდივიდუალური, განუმეორებელი, იგი არავის ბაძავს, ქმნის თავისთვის, გულის კარნახით“...

ეს შთაბეჭდილებების წიგნიდან ამოწერილი სიტყვებია, რომელიც ხელოვანის შემოქმედებით მოხიბლულ თაყვანისმცემლებს გამოუთქვამთ.

თითქოს ჩვეულებრივ მოძრაობენ მისი ხელები, მინდვრის ყვავილებისა და ბალახ-ბულახისაგან არჩევენ ფერებს და ქმნიან ხელოვნების ნიმუშებს — ყვავილების ულამაზეს თაიგულებს.

სხვა ცხოვრება ჰქონდა მარგო ყაჭარიშვილს. პროფესიით მათემატიკოსი გახლდათ, ოცდაათ წელზე მეტი ემსახურა მომავალი თაობის აღზრდას. მოახლოვდა დამსახურებული დასვენების დროც, მაგრამ კატასტროფული სისწრაფით იკლო თვალის ჩინმა. მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ს. ფეოდოროვმა თვალისჩინი და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა მარგო ყაჭარიშვილს, რომელმაც სულ სხვაგვარად დაინახა და აღიქვა მიწა, ცა, მზე... განსაკუთრებით მინდვრის ყვავილებითა და ღორთქო ბალახით დაფარულმა ველ-მინდვრებმა მოხიბლეს შემოქმედი.

სათნო ქალის გულის სითბო იღვრება პატარა ოთახში. მნახველი გულგრილი ვერ დარჩება შემოქმედის ხელებით შექმნილი თაიგულებით. ამ თაიგულებს ნებისმიერი ქალი ინატრებდა საჩუქრად.

უურნალ „დროშის“ რედაქცია სარვამართოდ გთავაზობთ მარგო ყაჭარიშვილის ნამუშევრებს.